სახალხო გაზეთი

№ 778 ოთხშაბათი, 19 ქრისტიშობისთვე 1912 წ. № 778

განცხადების ფასი ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება, ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წლიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.

„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

გამართულია ხელის მოწერა 1913 წლის

წლიწადი მეოთხე

„სახალხო გაზეთზე“

წლიწადი მეოთხე

ყოველ-დღიურ გაზეთის გარდა 1913 წელსაც გაზეთს ექნება

„სურათებიანი დამატება“ (კვირაობით).

პრემიად 1913 წლის წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ ორ წიგნს

1) უცხოეთის მწერლები. (400 გვ.) 2) ქართველი მწერლები. (500 გვ.)

გაზეთის ფასი ყველა პრემიებით წლიწადში 8 მ. 50 კ., ნახევარი წლით 4 მ. 50 კ., ერთი თვით 75 კ.

იმ ხელისმომწერმა, რომელიც **ორივე პრემიის** მიღებას **ფოსტით** მოისურვებს, გასაგზავნ ხარჯად უნდა გამოგზავნოს ხელის-მოწერის ფასთან ერთად კიდევ **ათი შაური**. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

ხელის მოწერის პირობები: 1) წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი (8 მან. 50 კ.) შეუძლიანთ გადაიხადონ ნაწილობით, მხოლოდ აუცილებლად შემდეგს ვადებზე: ხელის მოწერისთანავე 3 მ., 1 აპრილამდე 2 მ., 1 თიბათვემდე 2 მ., 1 ენკენისთვემდე 1 მ. 50 კ. 2) გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1913 წლის გასულისა. **ხელის მოწერა გამართულია:** 1) „სახალხო გაზეთი“-ს კანტორაში (სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან), რომელიც ღიაა დილ. 9—3 ს.-მდე და საღ. 5—7 ს.-მდე, გარდა კვირა-უქმეებისა. 20 ქრისტიშობისთვიდან კი ღია იქნება: დილ. 9 ს.-დან საღ. 8 ს.-დე, კვირაობით და დღესასწაულებში დილ. 11 ს.-დან ნაშუადღ. 3 ს. 2) ქ. შორის წერა-კითხვ. გამავრცელ. საზოგ. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში: სასახლის ქუჩა, თავად აზნაურთა ქარვასლა.

3) **ფოსტით.** Тифлисъ, Груз. газ. „Сахалхо Газети“. Поч. ящ. 190.

ნინო გიორგის ასული და ვარლამ ლევანის ძე გელოვანები და პლატონ ლევანის ძე გელოვანი მეუღლით, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას, პირველნი ძვირფასი შვილის

ზიუზკას

ხოლო მეორენი ძმის წულის. დასაფლავება ბაქოში, 19 ქრისტიშობისთვეს 1912 წ.

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 795.

საბენეფისო წარმოდგენა

ხუთშაბათს, 20 დეკემბერს, 1912 წ. ქართ. დრამატიული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

ვალ. ლევ. გუნიას საბენეფისოდ

შექსპირის ტრაღედია

მეფე ლირი

5 მოქ. და 10 სურათ. თარგმანი თ-დ ი. ჭავჭავაძისა და ივ. მაჩაბლისა.

ლირის როლს შეასრულებს მობენეფისე.

ახალი დეკორაციები და ახალი ტანისამოსი.

მონაწილეობს მთელი დასი. **დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

ადგილების ფასი საბენეფისოა. რეჟისორი **ვალ. შალიკაშვილი.**

ქართ. დრამატ. საზოგად. ადმინისტრაცია. 1623.

არტისტიულ საზოგადოების საკონცერტო დარბაზი.

პარასკევს, ოც-და-ერთ დეკემბერს,

პირველი ლექცია 1 სახ. სათათბ. თავმჯდომარის ამხანაგად ნამყოფ პეტერ. ფსიხო-ნევროლოგიურ ინსტიტუტის **პროფესორ**

ნიკოლოზ ანდრიას ძე გრედესკულისა:

„ეროვნული საკითხი დასავლეთსა და რუსეთში“.

დას. წყ. საღ. 8 ს.

შაბათს, 22 ქრისტეშ., **გრედესკული ქუთაისში** (ქალაქის თეატრში), წაიკითხავს ამავე ლექციას. კვირას, 23 ქრისტ., **გრედესკულის უკანასკნელი ლექცია ტფილისში:** **„ინტელიგენციის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში“.** ბილეთ. იყიდება არტ. საზ. კლუბის შვეიცართან (შესავალი გოლ. პროსპ.-დან, ქისკარიდან), დილ. 10—2 ს. საღ. 5—8 ს. 1645

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან რეინიშის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და მეტეხის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

შინაგანი სნეულებანი.	**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მაღალაშვილი გ. გ.** (სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ქირურგიული სნეულებანი.	**მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი (ყოველ-დღე 11½—12½.) **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირალოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1. ე. ა ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა (სამშ. ხუთშაბ. შაბათ,) 11½ 12½.
ქალთა და მშობიარე სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ხულაკოვი ა ი.** (ყოველ დღე) 1[illegible].
ბავშვთა სნეულებ.	ექ. ქალი **ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** (ყო დღე, გარდა ოთხ.) 1—1½ ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. სნეულ. და ფსიქ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **ფონდოევი, გ. ს.** (ყოველ-დღე) 1—2 ს.
ყურის, ყელის, ცხვ.	**ათინიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1½ **ტრემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენ.	**დიასამიძე ა. ნ.** (ყოველ დღე) 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ 914 და **წამლის შეშხაპუნება**, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილისა ცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. წ. 1010

?

1531.

ბაგრძელდება დაკვეთა 1913 პირველ იანვრამდე:

ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

ლექსი და ბელეტრისტული ნაწარმოები,

(აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

ფასი 8 მანეთი, ვისაც დასაკვეთ ფულის ნაწილი უკვე შემოტანილი აქვს დანარჩენი ფული უსათუოდ 1913 წ. პირველ იანვრამდე უნდა გადაიხადოს. წინააღმდეგ შემთხვევაში დაჰკარგავს უფლებას წიგნის მიღებისას და შემოტანილ ფულისას.

გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნებ დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.**

ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან.

ფოთში—იონა მეუნარგიასთან.

სამტრედიაში—გ. ი. სტურუასთან.

სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.

სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან.

ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვ ილთან.

თელავში—თამარ აბაშიძესთან.

ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.

ბაქოში—ილია აგლაძესთან.

ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.

ერევანში—ელენე გირსალაძესთან

ბათომში—ს. მდივანთან. კავკავში—სოფიო კალანდარაშვილთან. გორში—ნიკო ლომაურთან. ახალციხეში—როზალია ალელიშვილთან

ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზანის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია. 1153

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

წამლობა ჭლექისა, ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ**

შინაგან სნეულებით ავადმყ. წამლობა კიდევ რადიისა და ელექტრონის პრეპარატებით. იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—12 ს. და საღამ. 5—7 საათ. ადრესი: **სოლოლაკი,** ბებუთოვის ქ., № 23 (განოვის ქ. კუთხე). ტელეფ. 7—92. 847

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის ძალიან ახლო დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს**, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათ. დან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. [illegible]020

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3. ს. გაბაშვილისა.

ექიმი ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 4—5 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334

ვაკზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგანავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ და ცხვ. სნეულ. 11—11½.

ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით 11—11½ საათ.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ივ. გომართელი.—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს. მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური. ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა „606“- 10[illegible]

ნაფიც-ვექილ. თანაშ.

გიორგი პავლეს ძე

გორდეზიანი

გადავიდა ჩერქეზიშვილის ქუჩაზე (ავჭალის ქუჩა), № 57. 829

წლიწადი მეთხუთმეტე.

დამყნილ ამერიკულ ვაზის და ხეხილის

სანერგე

სანდო,

გიორგი მ. ჩივაძისა

ამით აცხადებს, რომ კვალინდებურად **დამზადებულია** მიმდინარე 1912 და მომავალ 1913 წ. **დიდძალი სარგავი მასალა.**

1586

ადრესი — ქუთაისი

მამია გურიელის ჩასახვევი, ფხაკაძის სახლი.

ელექტრონისა და რენტგენის

სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—. ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა. ყორღანოვის ქ. № 20. წ. [illegible]122

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.; გასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ. ქ., № 94,** საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 530

ექიმი ს. ი. გძელიშვილი

იღებს ავადმყოფებს შინაგნეულ და ვენერიულ ავადმყოფებს, დილით 9—12 ს. და საღამოს 6—8 ს. დიდუბე, საგურამოს ქუჩ. № 21, სახლი ხრამელაშვილისა. 1411

ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 6.

ექიმი კბილისა **ნინო ტცხილაძე**

იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლღას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

ექიმი ი. კ. აბაკელია

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 4½—6½ საათ. **ელისაბედის ქ. № 7,** ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. 789

სახელმწიფო სათათბირო

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო).

15 ქრისტიშობისთვე

(დასასრული *)

მაკოგონი. მე, როგორც უბრალო გლეხი, გამოვეკამათები იმათ, ვინც 9 ღვინობისთვის კანონის წინააღმდეგ გაილაშქრა, ამ კანონს გლეხობა დიდ პატივსა სცემს, რადგანაც გლეხობა მით გაბედნიერებულია; 9 ღვინობისთვის კანონმა გლეხს მეტი თავისუფლება და მიწა არგუნა. იგი არავის არა აძალადებს (ტაშის ცემა მარჯვნივ და ცენტრში): თუ გლეხები მიწას ჰყიდიან, ძალდატანებით კი არა, არამედ ნებაყოფლობით, თავისდა სასარგებლოდ. ჩვენში გლეხებმა კაი ფასში გაჰყიდეს მიწა და სამაგიეროდ ციმბირში იყიდეს; ეხლა ქეძძულენი არიან (ტაშის-ცემა). აი, გადასახლება უნდა გაუკეთესდეს, რათა გადასახლებულნი სახალხო მატარებლებით დადიოდნენ და არა საქონლისა (ტაშის-ცემა). მიწის სიცოტავის თაობაზე ლაპარაკი გლეხებს მოგვწყინდა. აი, კიდევ ახალი ამბავი—მიწა არ არის! თქვენ ის გამოიგონეთ, თუ როგორ ვიშოვოთ, საიდან! აი ეს იქნება ახალი რამ. მხოლოდ ვიშოვოთ მიწა არა ყაჩაღობით, არამედ კეთილის სურვილით; მართლმადიდებელ გლეხს არ უნდა რამე შეიძინოს ავაზაკობით და ცარცვა-გლეჯით, (ძლიერი ტაშის ცემა მარჯვნივ). 9 ღვინობისთვის კანონისთვის გლეხობა ყოვლად შემძლებელს გულ-მხურვალედ ევედრება და ემუდარება დღეგრძელობა მიანიჭოს ჩვენ მამა—ხელმწიფეს, როგორც 50 წლის წინად ვევედრებოდით ხელმწიფე-განმათავისუფლებელის გულისთვის (ხანგრძლივი ტაში მარჯვნივ და ცენტრში).

ზალიტი. ლატიშელთა და ესტონელთ რუსეთი მუდამ მიაჩნდათ, მიაჩნიათ და მიიჩნევენ კიდეც თავის სამშობლოდ. მათ არა აქვთ სურვილი განცალკევებისა. ამგვარი მისწრაფება ჩვენში სრულიად არ არსებობს. მათ არასოდეს არ დაავიწყდებათ, რომ რუსეთის ბატონობის დროს ბალტიის მხარეში თავი დააღწიეს მონურ ცხოვრებას და ადამიანური უფლებანი მიენიჭათ. რუსეთის მთავრობა რეფორმების გზას უნდა დაადგეს და მოსპოს ის ზღუდე, რომელიც აღმართულა მთავრობასა და მკვიდრთა შორის. მხოლოდ ამ გზით შეუძლიან მთავრობას დააკმაყოფილოს მცხოვრებთა აუცილებელი მოთხოვნილებანი და შეაერთოს ადგილობრივი მცხოვრებნი რუსეთის დიდებულ ხალხთან (ტაში მარცხნივ).

მღვ. ოკოლოვიჩი მთავრობის ყურადღებას იმაზე აქცევს, რომ სარწმუნოებათა პატივისცემის და მოთმინების პრინციპი დასავლეთ მხარეში სხვანაირად გამოიყენეს. ჭეშმარიტად, რუსეთი სხვის სარწმუნოებას პატივისცემით ეკიდება; ძველადვე იგი მომთმენი და პატივისმცემელი იყო, ვიდრე დასავლეთის სხვა სახელმწიფონი. მოლაპარაკემ დაწვრილებით ილაპარაკა იმაზე, თუ რა შევიწროება, უპატივისმცემლობა და სისასტიკე გამოიჩინეს პოლონელებმა სხვა სარწმუნოების მიმართ, სინიდისი თავისუფლების სახელით. პოლონელთათვის სარწმუნოების თავისუფლება არის თავისუფლება პროპაგანდისა. კათოლიკების პროპაგანდა ქადაგება კი არ არის, არამედ უხეში ძალადობაა რუს ხალხზე. მთავრობამ უნდა გამოსცვალოს პოლიტიკა ჩრდილო-დასავლეთ მხარეში, სანამ ბელორუსი პოლონიზმს ჯერ არ ჩაუნთქავს (მარჯვნივ ტაში).

ლევანიდოვი და ფირსოვი მეორე. დეკლარაციას გლეხობისთვის. სანუგეშო არაფერი უთქვამს. სათათ-

ბირომ უპირველესად უნდა დააკმაყოფილოს სადგილ-მამულო მოთხოვნილებანი გლეხებისა და გაათანასწოროს იგი უპირატესობაში სხვა წოდებასთან. მოლაპარაკე გაკვირვებულია; როგორ შეიძლება სათათბიროში ისმოდეს ხმები გაწკეპლის შემოსაღებად.

წინადადება მიიღეს დეკლარაციის განხილვა შესწყდეს.

გამოაცხადეს მორიგ საკითხებზე გადასასვლელი ფორმულა კადეტებისა, პროგრესისტებისა, შრომის ჯგუფელებისა და ნაციონალისტებისა.

ზამისლოვსკი. მემარჯვენენი მხარს დაუჭერენ ნაციონალისტების ფორმულას, საცა ნათქვამია: „სათათბირომ მოისმინა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის განცხადება, რა იმოდევნებს, რომ მთავრობა კვლავ დაადგება ცოცხალ ეროვნულ და შეურყეველ პოლიტიკას, გადადის მორიგ საკითხებზე“, მაგრამ მემარჯვენენი უმატებენ, რომ ძლიერი ნების ყოფის მთავრობა ამოუდგა სათავეში და პოლიტიკა ვიწრო ფინანსურია, არავითარი ზომები არ არის მიღებული ამბოხების და სექტანტობის ამოსაძირად.

ანტონოვი. ოქტომბრისტები ეთანხმებიან პროგრესისტების ფორმულას, რადგანაც მასში დაცულია 17 ოქტომ. მანიფესტის ძირითადი დებულებანი. შეტანილ ფორმულებს კენჭი უყარეს.

ცენტრის, ნაციონალისტების და მემარჯვენეთა უმრავლესობის კადეტების ფორმულა უარჰყვეს.

132 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 78 **პროგრესისტების ფორმულა მიიღეს.** ფორმულის შინაარსი ასეთია: „მოვისმინეთ რა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის განცხადება, დარწმუნებულნი ვართ, რომ წესიერი საკანონმდებლო მუშაობა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც მთავრობა დ საკანონმდებლო დაწესებულებანი ერთად გულწრფელად იხვეწიან 17 ოქტომბრისტების მანიფესტის დ სასტიკ კანონიერების დასამკვიდრებლად. სათათბირო მოუწოდებს მთავრობას გაბედულად შესდგას ფეხი ამ კანონიერების გზაზე და მორიგ საკითხებზე გადადის“.

თავმჯდ. როძიანკომ გამოუცხადა სათათბიროს უმაღლესი ბრძანება, სათათბიროს საშობაო დასვენებაზე. სათათბირომ ფეხდგომით მოისმინა უმაღლესი ბრძანება. ხანგრძლივი და ძლიერი „ვაშა“ ისმოდა დარბაზში.

შემდეგი სხდომა 1913 წლ. 21 იანვარს მოხდება.

ქართული პრესა

9 დეკემბერს გამართულ თათბირზე თავ. პ. თუმანიშვილმა გამოსთქვა ერთი მოსაზრება, რომელიც ჩვენს გაზეთშიაც აღინიშნა ბ. შინაურმა. თავ. თუმანიშვილმა სთქვა, მე უნივერსიტეტს ვამჯობინებ ქართულ ეროვნულ სკოლას და კახეთის რკინის გზას კი ისეთს გზას, რომელსაც მთელი კავკასიისთვის აქვს მნიშვნელობაო. ჩვენ ეს მოსაზრება განვიხილეთ სრულიად დამოუკიდებლად კახეთის რკინის გზის საკითხისა და ის აზრი გამოვთქვით, რომ ჩვენისთანა პირობებში მცხოვრებ ერისთვის ეს გზა ფრიად სახიფათო გზაა. ამავე საკითხს ეხება „თემი“ და სწერს:

> „მისი (ე. ი. თავ. პ. თუმანიშვილის) აზრით, ეკონომიურ და ფინანსიურ საქმეების მოწყობის დროს, როდესაც ერს არა აქვს თავისი პოლიტიკური თვითმმართველობა, არ შეიძლება ვიწრო ნაციონალისტური და ვიწრო წოდებრივი თვალსაზრისით სარგებლობა, რადგანაც ეს თვით დაჩაგრულ ერის ფართო ერისთვის არის მავნებელი“.

პირიქით! ერს რომ თავისი პოლიტიკური თვითმმართველობა ჰქონდეს, როგორც „თემი“ ამბობს, მაშინ ასეთი რამ საფრთხედ არ ჩაითვლებოდა. დღეს კი, როდესაც ყველაფერი ჩვენს წინააღმდეგაა მომართული, როდესაც ერთმანეთს უპირისპირდება ორი, ერთი მეორის მოწინააღმდეგე ძალა, ჩვენი გულის ყური მიპყრობილი უნდა იყოს ისეთი მოქმედებისკენ, რომელიც შეჰქმნის მომავლის ელემენტებს. ეროვნული სკოლა, ეროვნული სიმდიდრე, ეროვნული რკინის გზა,—ყველა ეს ის ელემენტებია, რომელზედაც შემდგომ უნდა აშენდეს ჩვენი მომავალი. თუ ამ საქმეებში პოზიცია პოზიციაზე დავკარგეთ და განვავითარეთ ისეთი მოქმედება, რომელიც კი არ აძლიერებს ამ ეროვნულ ელემენტებს, არამედ, პირ-იქით, ასუსტებს, ცხადია, ასეთი მოქმედება ეროვნულად ვერ ჩაითვლება. ქართველ ხალხის ფართო მასსის ინტერესები მოითხოვს ამასაო. სრულიადაც არა. ქართველ ხალხის ფართო მასსის ინტერესი იმას მოითხოვს, რომ მის სულიერსა და ეკონომიურ ძალას რაც შეიძლება მეტი სარბიელი მიეცეს. კახეთის რკინის გზა ამ სარბიელს მისცემდა, შეერთებული გზა კი ვერა. სწორედ ისევე, როგორც ვარშავა-ვენის გზამ პოლონელებს მისცა სარბიელი.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **პოლიტეხნიკუმი.** განზრახვაა, პოლიტეხნიკუმის შენობის საძირკველი მომავალ გაზაფხულზე ჩაჰყარონ. ამ ჟამად უცდიან კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს, რომელიც პეტერბურგიდან თან ჩამოიტანს პოლიტეხნიკუმის შენობის პროექტს. პროექტს საუნივერსიტეტო კომიტეტი განიხილავს და დასამტკიცებლად მეფის მოადგილეს წარედგინება, პეტერბურგში გაუგზავნელად.

◆ **ვლ. მესხიშვილის იუბილეს გამო.** საიუბილეო კომისიამ აირჩია საგანგებო მცირე კომისია და იუბილესათვის მომზადება მიანდო. კომისიაში შედის: ი. ზურაბიშვილი, ა. წუწუნავა, ნინო ყიფიანი და ი. ანდრონიკაშვილი. მცირე კომისია უკვე შეუდგა იუბილეზე მისაწვევ ბარათების დაგზავნას. იუბილეს გადიხდიან 1913 წლის 13 თებერვალს. იუბილარის ბიოგრაფიისა და მისის სცენიურ მოღვაწეობის დახასიათების შედგენა დაევალა ახალგაზრდა მწერალს დ. კასრაძეს, რომელიც წიგნში ურთავს აგრეთვე ქართულ თეატრის აღორძინების მცირე ისტორიას. წიგნი დაახლოვებით 150—180 გვერდს შეიცავს.

◆ **კავკ. რკინის გზის სამმართველომ** გადასწყვიტა, რომ მომავალ დღესასწაულებისათვის, ამ თვის 19—24-მდე ტფილისის სადგურზე წინდაწინვე გაიმართება მგზავრთა ჩაწერვა ბილეთების მისაღებად კავკასიისა და სამხრეთ ლიანდაგის ყველა გზებისათვის. წინასწარი ჩაწერვა შესწყდება მხოლოდ მატარებლის გასვლის წინა დღეს. რიგის გარეშე ჩაწერილთ კი ბილეთები მიეცემათ მატარებლის წასვლის წინ ნახევარ საათით ადრე. ხოლო ამის შემდეგ ჩვეულებრივის რიგით სხვა მგზავრებსაც მიეცემათ ბილეთები. ამ დღეებში კასებში ბილეთები გაიყიდება მატარებლის გასვლამდე 1½ საათით ადრე.

◆ **შემწეობა.** ქალაქის საბჭომ დაადგინა, შემწეობა აღმოუჩინოს 150 მან. ქალაქის ცენტრალურ საავადმყოფოს მოსამსახურედ ნამყოფ ურჯუნცევის ქვრივსა და ობლებს.

◆ ტფილისში ჩამოვიდა ფრანგ და ბელგიელ კაპიტალისტთა წარმომადგენელი ინჟ. ვ. ი. ყორღანოვი, რომელმაც გუშინ ქალაქის თვითმმართველობას სთხოვა კონცესია სხვა და სხვა საელექტრონო-სატეხნიკო შენობის აგებისა.

◆ **ტრამვაი.** ქალაქის გამგეობამ ბელგიის უსახელო საზოგადოებას ბრიუსელში წინადადება მისცა, დაასახელოს თავისი წარმომადგენელი, რომელთანაც შეიძლება ქალაქმა მოლაპარაკება გამართოს ტრამვაის გამოსყიდვის შესახებ.

◆ **საბრეშუმო სადგურის** გამგე პ. ი. ივანოვი პეტერბურგს გაემგზავრა, სადაც მონაწილეობას მიიღებს სადგურის დებულებათა შედგენაში და აგრეთვე იმ თათბირში, რომელიც განიხილავს საკითხს საცდელ სასოფლო-სამეურნეო სადგურების დაარსების შესახებ.

◆ **რედაქციამ მიიღო** საყმაწვილო ჟურნალი „ნაკადული“ მცირეწლოვანთათვის (№ 23), შემდეგის შინაარსით: ჩიტების შობის ხე,—სურათი, ჩიტი-ჩიორა,—ლექსი ვაჟა-ფშაველასი, ბებიას მელია,—ირ. ევდოშვილისა, საწყალი ვანო—ბიძია გოგისა, თამრო,—ლექსი ახოსპირელისა, წითელი ყვავილი,—სამ მოქმედებიანი კომედია, (დასასრული) კლავდია ლუკაშევიჩისა. გადმოკეთ. ან. ახალშენიშვილისაგან, გასართობი: რებუსი და რებუსის ახსნა.

წვრილი ამბები.

◆ ქრისტეშობისთვეს, ნაშუადღევის 2 საათზე რუსის ქუჩაზე ტრამვაის ვაგონი (№ 32) **დაეჯახა** მიმავალ „პოვოზკას“ დ გადააბრუნა. მსუბუქად დაშავდა მეპოვოზკე, სოფ. ულითის (გორის მაზ.) მცხოვრები ვასილი გიორგის ძე ჭალაური, რომელიც მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს.

◆ 15 ქრისტეშობისთვეს მე-8 საპოლიციო უბანში გარდაიცვალა ვინმე კრუგლოვისა, რომლის გვამიც მიხეილის საავადმყოფოში წაასვენეს.

◆ 17 ქრისტეშობისთვეს, პოლიციის სხვა და სხვა უბნებში შეიპყრეს 27 უპასპორტო კაცი.

საზოგადოებანი და კრებები

◆ ხვალ, 19 ქრისტეშობისთვეს მოხდება **ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს სხდომა;** განსახილველია მესაქონლეობის სექციის მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვა და მოქმედების გეგმა.

◆ **ქალაქის გამშვენიერება.** ამ დღეებში კერძო თათბირი ჰქონდათ აბანოების მეპატრონეთა, მადათოვის კუნძულის მესაკუთრეთა და სახლის პატრონთა ერთს ჯგუფს. ითათბირეს საბალნეოლოგიო სადგურის მოწყობისა, მადათოვის კუნძულის გამოსყიდვისა და მტკვრის ნაპირების გამშვენიერების შესახებ მნაცაკანიანთ ხიდიდან ვერის ხიდამდე. თათბირი იმ აზრს დაადგა, რომ ამ მიზნის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ კერძო თაოსნობით. თათბირმა დაადგინა, შეადგინოს ამხანაგობა 100,000 მან. თანხით და ამ ფულით შეადგინოს ადგილობრივ და საზღვარგარეთელ სპეციალისტთა შემწეობით დაწვრილებითი პროექტი ხსენებულ აზრის განსახორციელებლად.

◆ **ქართულ სამეურნეო საზოგადოებაში.** 17 ქრისტეშობისთვეს მესაქონლეობის სექციის წევრთა კრება მოხდა. სექციამ შეიმუშავა გეგმა თავის მომავალ მოქმედებისა და განსახილველად წარუდგენს საზოგადოების საბჭოს კრებას, რომელიც დღეისთვის არის დანიშნული.

◆ **ქალაქის საბჭოს საუნივერსიტეტო კომისიისა და ქალაქის გამგეობის შეერთებული კრება** 17 ქრისტეშობისთვეს მოხდა. კრებამ მოისმინა ბაქოდან დაბრუნებულ დეპუტაციის მოხსენება და დაადგინა: 1) ეთხოვოს გამგეობას შეადგინოს საუნივერსიტეტო ადგილის და გეგმის ხარჯთ-აღრიცხვა, რაზედაც დახარჯოს საქალაქო ფული და შემდეგ აინაზღაუროს გაყიდულ მიწების ფასით; ეს დადგენილება ეცნობოს მთავარ საუნივერსიტეტო კომიტეტს; 2) ეთხოვოს სხვა და სხვა საზოგადოებრივ და წოდებრივ დაწესებულებას, გაიღონ შეწირულებანი პოლიტეხნიკუმისათვის, 3) ეთხოვოს საუნივერსიტეტო კომისიის წევრს ა. ნ. მილოვს, მიიღოს ღონის-ძიებანი ტფ. ვაჭართაგან აღთქმულ 25,000 მან. დროზე გასანაღდებლად, 4) ეთხოვოს დიდ ბანკებს და მათ განყოფილებებს, ფული გაიღონ პოლიტეხნიკუმისათვის, 5) ეთხოვოს თავად-აზნაურობას, საკრედიტო საზოგადოებას, საკომერციო ბანკს, დაწესებულებათ და ქალაქებს, რათა აღთქმული ფული მთავარ კომიტეტს ახლავ გადასცენ.

ქუთაისი

◆ ბათომში სამასწ. ინსტიტუტის განხსნის შესახებ ბათომის ქალაქის გამგეობის და ქალაქის საფინანსო კომისიის შეერთებული კრება მოხდა: კრებამ დაადგინა: გარდა 2000 ოთხკუთხი საჟენი მიწისა ამ საქმეში ქალაქი მთავრობას 15 ათასი მანეთითაც დაეხმაროს.

◆ სოფ. **ერკეთში** (გურია) გაიხსნა წვრილი კრედიტის საზოგადოება. („იმერეთი“).

◆ საზღვარ-გარეთ შავი ქვის გამტანმა ექსპორტიორებმა ქუთაისიდან გაგზავნეს დეპეშა სამინისტროში. თხოულობენ, ჩვენ არ თანავუგრძნობთ შავი ქვის შესახებ ტარიფის დაკლებას და გთხოვთ ჩვენს დაუსწრებლად ზემოაღნიშნულ საგანზე მსჯელობა არ იქონიოთო.

◆ ქუთაისის გუბერნიის წვრილ საკრედიტო დაწესებულებათა ინსპექტორმა ბ-ნმა ჯაფარიძემ, წასულ კვირაში რევიზია მოახდინა გუბერნიის სხვა და სხვა სოფლებში. არსებულ წვრილ საკრედიტო ამხანაგობებისა.

◆ რომანოვსკის წვრილ-საკრედიტო ამხანაგობას (ბათუმის მხარეშია), როგორც იქიდან გვწერენ, სახელმწიფო ბანკმა სესხად დამატებითი 5000 მანეთი მისცა. წინათ ამ ბანკს 4000 მანეთი სესხი ჰქონდა. ამ ჟამად-კი სულ 9000 მანეთისა აქვს.

◆ ქუთაისის ოლქის სასამართლოს მიერ **სპირიდონ** გოშაძეს ქალის მოტაცებისა და მოკვლისათვის 9 წლის კატორღა ჰქონდა გადაწყვეტილი. სააპელაციო საჩივრით გოშაძის საქმე ტფილისის სამოსამართლო პალატამ ქ. ტფილისში 11 ქრისტეშობისთვეს განიხილა და საოლქო სასამართლოს განაჩენი უცვლელად დასტოვა.

ქუთაისში საბუღალტრო კურსებზე ამ ჟამად სწავლობს 50 კაცი. იანვრიდან კურსებთან გაიხსნება მეორე განყოფილება. („მერცხალი“).

◆ კვირას, 16 ქრისტეშობისთვეს, ქ. ქუთაისში მოხდა **მომხმარებელ საზოგადოებათა** რწმუნებულების კრება. კრებას დაესწრნენ ქუთაისის მომხმარებელი საზოგადოების „პროგრესის“ წარმომადგენელნი, ქიათურის „ჩვენი ოჯახის“, აბაშის ჯურუყვეთის და სხვების. კრებამ აირჩია პარტიობით მყიდველი ბიურო, ბიუროში შედიან: ი. გაბილაია, ფილიპე ხელაძე და ონიფანტე ქუთათელაძე.

◆ სოფელ თხემლარის (სენაკის მაზრა) მაცხოვრის ეკლესიის მღვდელმა, ნიკოლოზ გუნიამ თავისი ხვედრი **დრამა ფული შესწირა სოფლის სკოლის სასარგებლოდ.**

◆ მომხმარებელ საზოგადოებათა რწმუნებულთა კრებამ, მოსკოვის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირის რწმუნებულთა მე-25 **კრებაზე დასასწრებლად** აირჩია იასონ გაბილაია, რომელიც 23 ამა თვეს მოსკოვში.

◆ შობის მეორე დღეს ილია ჭავჭავაძის დაბადების 75 წლის თავის აღსანიშნავად ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების ხონის განყოფილება ჰმართავს **ილიას საღამოს.** („მერცხ.“).

◆ 21 ქრისტეშობისთვეს ქუთაისის **სახელოსნო საკრედიტო ამხანაგობის გამგეობას** მოუწვევია გუბერნიაში არსებული ამხანაგობების წარმომადგენლები: ამათ უნდა განიხილონ კავშირის წესდება, რომელიც დასამტკიცებლად მთავრობას წარედგინება.

◆ ბერნში (შვეიცარია) **დაამთავრა საექიმო ფაკულტეტი** ქ-ნმა ქინქლაძემ და ჟენევაში (აგრეთვე ფაკულტ.) ავთანდილ ინგოროყვამ და ანტონ ჟორჟოლიანმა.

◆ ჟენევის ქართული სათვისტომოს განზრახვა აქვს აღნიშნოს **ალექ. მესხიშვილის 30 წლის მოღვაწეობა** ქართულ სცენაზე.

◆ ინგლისურად გამოსულა **საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორია** ბ. თედო სახოკია შესდგომია ამ წიგნის თარგმნას.

◆ როგორც ვიცით, **ექიმ პრიანიშნიკოვის მოკვლის გამო** ბათომში რამდენიმე პირს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს. განსვენებულის ქვრივი შუამდგომლობს, რომ მათ ეს სასჯელი ეპატიოთ. („იმერეთი“).

ადესა

◆ აგარაკ ლანჟენორსა და პატარა ფონტაზე ზღვის პირად **მიწა ჩაწვა.** მრავალი სახლის პატრონი დაზარალდა. აქ მოაგარაკენი ადესის არისტოკრატიაა.

ზარალი მილიონ მანეთს აღემატება. ქალაქის საბჭომ ფიცხელი ზომები მიიღო.

◆ მინისტრმა კასსომ წინადადება მისცა **ლევაშოვს** რექტორობას თავი დაანებოს.

◆ წელს სამკურნალო ფაკულტეტს 16 ქართველი ათავებს.

◆ **უმუშევართა რიცხვმა** 1 ქრისტეშობისთვიდან საგრძნობლად იმატა: ქალაქი მათხოვრებით აივსო.

დონის-როსტოვი

◆ დონის-როსტოვის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ქართველ მეურნეთა ნაწარმოებიც იყო გამოფენილი. **ძმ. ჭეიშვილებმა საუკეთესო ხარისხის ღვინის გამოფენისათვის მიიღეს ოქროს მცირე მედალი.** ჭეიშვილებს ოზურგეთის მაზრის სოფ. ასკანაში ჰქონიათ ვენახი, ამერიკულ ვაზზე დამყნილი.

ქართველი დეპუტატები და სათათბირო.

დეპ. გელოვანის პასუხი ჩხენკელის სიტყვაზე.

დეპუტატმა ჩხენკელმა სრულიად უადგილოდ დაიწყო ლაპარაკი სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნიდან იმის შესახებ, რომ დეპ. გელოვანი გლეხ-კაცობის წარმომადგენელი არ არის. ამის საპასუხოდ დეპ. გელოვანს დაახლოვებით შემდეგი უთქვამს: „საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად საფუძვლიანი, სამართლიანი და რიგიანი იყო ასეთივე განცხადება ჩემი იდეიური მოწინააღმდეგებისა სატახტო გაზეთის ფურცლებზე,—ორთავე მხარის თანხმობით გადაეცა სამედიატორო სასამართლოს. მოსამართლეები უკვე ავირჩიეთ. ამორჩეულ მოსამართლეთა უმაღლესი ავტორიტეტი უზრუნველჰყოფს მსჯავრის სამართლიანობას. ამ მსჯავრს ჩვენ უნდა დავემორჩილოთ. ამისდა მიუხედავად ამ შინაურ, ადგილობრივ პარტიულ დავის გამოტანა სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნაზე, გადაქცევა უმაღლეს კათედრისა პარტიულ და პირად ანგარიშების გასასწორებელ კათედრად მე მიმაჩნია ურიგობად არა მარტო ჩემსა და იმ პარტიისადმი, რომელსაც მე ვეკუთვნი, არამედ არჩეულ სასამართლოსადმიც. ამიტომ პირადად ჩემსა და ჩემი პარტიის სახელით პროტესტს ვაცხადებ ჩემი თანამემამულის ასეთი მოქმედების წინააღმდეგ“. მთელი სათათბირო, გარდა სოციალ-დემოკრატებისა, ამ პროტესტს ტაშის კვრით შეჰხვდა.

შეკითხვა კავკასიის შესახებ და სოციალ-დემოკრატები.

ჩვენს მკითხველებს ეხსომებათ, რომ დეპ. ვარლამ გელოვანის ინიციატივით სათათბიროში შეტანილ იქმნა შეკითხვა იმის შესახებ, თუ როდის აპირებს მთავრობა დაპირებულ რეფორმათა განხორციელებას ამიერ-კავკასიაში. როგორც პეტერბურგიდან გვატყობინებენ, სოციალ-დემოკრატებს უარი უთქვამთ და შეკითხვაზე ხელი არ მოუწერიათ. უარს ერთი იმათგანი იმით ასაბუთებს, რომ შეკითხვის თაოსნობა ეკუთვნოდა დეპუტატ ვარლამ გელოვანს.

კავკასიელი დეპუტატების კრება.

დეპ. ვარლამ გელოვანის თაოსნობით გაიმართა კავკასიელ დეპუტატების კრება. კრების მიზანი იყო, საერთო მოქმედების გეგმის შემუშავება. კრებაში მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა დეპუტატებმა: დელეგატმა (დაღესტნისა), ჯაფაროვმა (მაჰმადიანი), ნიკოლაევმა (ჩერნომორის გუბერნია) და გელოვანმა (ქუთაისის გუბ.) უეჭველია, მონაწილეობას მიიღებს სომეხი პაპაჯანოვიც, რომელიც ამ ჟამად ავად არის. დეპ. გელოვანს მიანდვეს თავმჯდომარეობა. სოციალ-დემოკრატები ჩხენკელი და ჩხეიძე ამ ჯგუფში არ შევიდნენ.

ქალაქის საბჭო

(17 ქრისტეშობისთვის კრება)

კრება საღამოს 8½ საათზე დაიწყო ქალაქის მოურავის ა. ი. ხატისოვის თავმჯდომარეობით, რომელმაც კრებას დაწვრილებით აუწყა პოლიტეხნიკუმის გამო ბაქოში წასულ დეპუტაციის ამბავი.

ბ-ნი ხატისოვი. დეპუტაციას ბაქოში დიდის თანაგრძნობით და პატივისცემით დაუხვდნენ. განსაკუთრებით დიდი დახმარება აღმოგვიჩინა ნავთის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ი. გუკასოვმა, ბაქოს ქალაქის მოურავის მოადგილემ არუთინოვმა, დასტამიანცმა, ტაგიანოსოვმა, თოფშიბაშევმა, კ. ი. ხატისოვმა, ჰაჯი ზეინალ ალა ტაგიევმა და მუსა ნაგიევმა.

საბჭომ დაადგინა, მადლობა გადაუხადოს ნავთის მრეწველთა საბჭოსა და ბაქოს ქალაქის საბჭოს პოლიტეხნიკუმისათვის 900,000 მან. გადადებისთვის.

საბჭომ აგრეთვე მადლობა გადაუხადა ბაქოში წასულ დეპუტაციასაც: ა. ი. ხატისოვს, თავ. გ. მ. თუმანოვს, პ. ა. გოთუას და ა. ს. ბაბოვს.

საბჭო შეუდგა წესიერ დასვენების ახალ სავალდებულო დადგენილებათა მესამე და მეთორმეტე მუხლის განხილვას.

დარბაზის ქანდარაზე ჩოჩქოლი შეიქმნა, სადაც ბლომად იყვნენ ვაჭარ-ნოქრობა.

ხსენებულ მუხლების შეცვლის საკითხი გამოიწვია საგასტრონომიო და საბაკალეინო მაღაზიების მეპატრონეთა საჩივარმა და 29 ხმოსნის წერილობითმა განცხადებამ.

მესამე მუხლში ჩამოთვლილ სავაჭრო დაწესებულებათა მეპატრონეებს ვაჭრობა საღამოს 11 საათამდე შეუძლიანთ. ამ მუხლში საბაკალეინო და საკოლონიალო დაწესებულებანი სრულიად ნახსენები არ არის და მათ მეპატრონეებს ამ ჟამად მაღაზიებს საღამოს 7 საათზე აკეტვინებენ.

დიდი კამათის შემდეგ მესამე მუხლი ასე შეასწორეს: „საყასბოებსა, თევზისა, ხილისა, საგასტრონომიო და სანოვაგის დუქნებში, საბაკალეინო და საკოლონიალო მაღაზიებში ვაჭრობა შეიძლება არა უმეტეს 15 საათისა დღე-ღამეში იმ პირობით კი, რომ მოსამსახურეს სადილისთვის ორი საათი მიეცეს. ვაჭრობა უეჭველად უნდა შესწყდეს საღამოს 11 საათზე“. ამის და შესაფერად შეასწორეს მეთორმეტე მუხლიც.

საბჭომ ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა განაგრძო.

ხმოსნები გამგეობას ეკითხებიან წარმოადგინეთ თუ არა მოხსენებ გამგეობის მდივნისთვის ჯამაგირი მომატების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. ი. ხატისოვი. ეხლად გვქონდა წინადადება [illegible] საბჭოსთვის მდივნისთვის წელიწადში 300 მან მოემატებინათ, (1900 მან. ნაცვლად 2,200 მან.) მაგრამ საკითხს განსახილველად სრულიად აღარ ვადგენთ რადგანაც სარევიზიო და საფინანსო კომისიის შეერთებული კრება თანაგრძნობით არ შეეგება.

საკანცელარიო და სამეურნეო ხარჯების დასაფარავად პროექტით 21,840 მან. არის გადადებული. საბჭომ გადასდო მხოლოდ 19,000 მან

ხმოსანი მიტკევიჩი. დროა ქალაქის გამგეობამ საკუთარ სტამბის შეძენისთვის იზრუნოს.

მე-13 მუხლი ეხება ორ დამფასებლის შენახვას. პროექტით გადადებულია 4,500 მან.

ა. ბაბოვი და სხვანი საჭიროდ სთვლიან, ორის დამფასებლის მაგივრად, რომელთაც ეძლევათ თვითეულ შესაფასებელ ფურცელში 3 მან., მოწვეულ იქმნას ოთხი მუდმივი დამფასებელი.

ხმ. ტიგრანოვი. ბაბოვს უნდა, რომ ორ ახალ კაცს კიდევ მიეცეს ლუკმა-პური.

ხმ. სულაბერიძე. ამ ჟამად შეუძლებლად სთვლის დამფასებელთა შტატის შეცვლას ან ჯამაგირების დაკლებას, რადგანაც ორი დამფასებელი უკვე არჩეულია და მათი შრომის ჯილდო არჩევის დროსვე განსაზღვრულია. ამ საკითხის აღძვრა შესაძლებელია მხოლოდ ერთის წლის შემდეგ, როდესაც ახლანდელ დამფასებლებს სამსახურის ვადა გაუთავდებათ.

საბჭო დაეთანხმა ამ წინადადებას და დამფასებელთა ხარჯის დასაფარავად პროექტში აღნიშნული 4,500 მან. დაამტკიცა.

ქუთაისის აბ-ბარში

შავი ქვის მრეწველთა კრება დასრულდა. უკანასკნელი სამი კრება მოუნდა ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას. მთელი ხარჯი 546 ათასი მანეთი კრებამ ერთხმად დაამტკიცა. შემდეგ ამისა ჯერი არჩევანზე მიდგა. საბჭოს თავმჯდომარემ ბ-მა გ. ზდანოვიჩმა განაცხადა, რომ თუმცა ვადა სამსახურისა გასული არა მაქვს მაგრამ მე ვაპირობ კენჭის ყრას იმ მოსაზრებით, რომ ჩვენი არჩევნების საქმე ნორმალურ კალაპოტში ჩავაყენოთ. უამისოდ ერთ წელიწადს კრება ირჩევს საბჭოს თავმჯდომარეს და მის ორ წევრს იმ დროს, როცა დებულება ითხოვს, რომ თავმჯდომარის არჩევნები ცალკე უნდა მოხდეს და საბჭოს წევრებისა კიდევ ცალკე.

კრებამ მიიღო ბ-ნ ზდანოვიჩის წინადადება და 110 ხმით წინააღმდეგ 2-სა ბ-ნი ზდანოვიჩი კვლავ საბჭოს თავმჯდომარედ იქმნა არჩეული. კრება ხანგრძლივი ტაშის ცემით შეხვდა თავის მოამაგე თავმჯდომარის არჩევანს.

სარევიზიო კომისიის წევრებად დიდი ხმის უმეტესობით არჩეულ იქმნენ: ალ. გაფრინდაშვილი, ბ-ნი დრინანი და გოგორიშვილი.

შემდეგ ამისა საბჭოს თავმჯდომარემ კრების სახელით მადლობა გადაუხადა კრების თავმჯდომარეს ბ-ნ ცეიტლინს და კრება დაიხურა.

⁂

სადგილ-მამულო ბანკის გამგეობამ ტელეგრაფით შუამდგომლობა აღძრა ფინანსთა მინისტრის წინაშე, რომ თავად-აზნაურთა თანხიდან ქართულ გიმნაზიას მიეცეს 20 ათასი მანეთი თავად-აზნაურობის თანხმობით. ბანკის გამგეობას კერძო ცნობა მოსვლია, რომ ამ ფულის გაღების წინააღმდეგი გამხდარა ფინანსთა მინისტრის რწმუნებული სობრიევსკი რომელიც ამ ჟამად პეტერბურგშია, რადგან ბანკისათვის ასეთი თანხის გაღება საძნელოაო. ბანკის გამგეობას უცნობებია მინისტრისათვის, რომ ამ ფულის გაღება ბანკისათვის არაფერ სიძნელეს არ წარმოადგენსო.

⁂

სახალხო სკოლების დირექციისა და ქალაქის თვითმმართველობის შორის ატეხილ უთანხმოების გამოსარკვევად ქუთაისში ჩამოსულ. სასწავლებლო ოლქის ინსპექტორი სლოვინსკი.

⁂

ახირებული საქმე დაემართა ქართული ენის კათედრას წმინდა ნინოს სასწავლებელში, ინსპექტორი ამ დაწესებულებისა შეჰკითხებია ყოვლად სამღვდელო გიორგის შესახებ რამდენიმე კანდიდატისა, რომელთაც

სურვილი განუცხადებიათ ქართული ენის მასწავლებლობის ადგილის მიღებისა. ეპისკოპოს გიორგის თავისი აზრი უცნობებია და მოსალოდნელი იყო რომ ერთ-ერთი კანდიდატი, ეპისკოპოზის მიერ მოწონებული, დანიშნული იქნებოდა ქართული ენის მასწავლებლად წმიდა ნინოს სასწავლებელში.

ნამდვილად კი მასწავლებლად წარუდგენიათ ბ-ნი თვალჭრელიძე, რომლის დამტკიცებას მალე მოელიან. საკვირველი აქ ის არის, რომ, თუ არ დაუჯერებენ ეპისკოპოზის რეკომენდაციას, რაღად ეკითხებოდნენ.

შავი-ქვის მრეწველთა კრებამ ქართულ გიმნაზიის ღარიბ მოსწავლეთა დასახმარებლად გადასდო 500 მანეთი. ამოდენივე თანხა შეიტანა ქალაქის თვითმართველობამ თავის ხარჯთ-აღრიცხვაში ქართულ გიმნაზიასთან განზრახულ უფასო სასადილოს სასარგებლოდ.

სასამართლო

შვილ ბილის მოწამლვა.

15 ქრისტიშობისთვეს, ტფ. ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე ტატიანა ზინეცკისა და ფერშლის ა. სიმონოვიჩისა, რომელთაც 5 წლის ქალის ნაშვილების ალექსანდრას მოწამლვა ბრალდებოდათ. წინასწარ გამოძიების დროს ზინეცკისამ განაცხადა: შვილი იმიტომ მოვკალი, რომ ჩემმა საყვარელმა ფერშალმა პავლე სიმონოვიჩმა წინააღმდეგ შემთხვევაში, ჯვრის დაწერაზე უარი სთქვაო. მოწმეების ჩვენებიდან ეს არ დამტკიცდა. ამიტომ სასამართლომ სიმონოვიჩი გაამართლა, ტატიანა ზინეცკის კი ათის წლის კატორღა მიუსაჯა. ბრალდებულს სიმონოვიჩს იცავდა ნაფ. ვექ. მაჭავარიანი.

„სააფთიაქო საქონლის ვაჭრობის კავკასიის ამხანაგობის“ გაქურდვა.

14 დეკემბერს ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე ნესტორ კორინთლისა, სტეფანე თარხნიშვილისა, იაკობ ხიზანოვისა, მიხეილ აზიზოვისა, ნიკოლოზ კრასნიცკისა, ალექსანდრა ფირალოვისა და ანდრიას სააქოვისა, რომელთაც ბრალდებოდათ სააფთიაქო საწყობიდან და მაღაზიიდან 12 წლის განმავლობაში სისტემატიურად საქონლის ქურდობა. სასამართლომ დამნაშავედ იცნო მხოლოდ ხიზანოვი და აზიზოვი და მიუსაჯა პირველს ღირსების ახდა და 8 თვის საპყრობილე, მეორეს— ღირსების ახდა და 1 წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა. ბრალდებულთ იცავდნენ ნაფ. ვექილები: ზელენსკი, ტურკევიჩი, ბარათაშვილი, რუტკოვსკი, ბეგთაბეგიშვილი და ტერ-აკოფოვი.

ჯაშუშის მოკვლა.

ტფილისის სამოსამართლო პალატამ ბ. გვაიძის თავმჯდომარეობით 18 ქრისტეშობისთვეს განიხილა სააპელაციო საქმე **უშანგი მგალობლიშვილისა,** რომელსაც ბახმაროში 1911 წლის 4 მარიამობისთვეს ჯაშუშის ედემ მამალაძის მოკვლისათვის კანონდებულებათა 1454 მუხლის ძალით 16 წლის კატორღა ჰქონდა მისჯილი. პალატაში ბრალდებულს იცავდა ნაფ. ვექ. **ბარათაშვილი,** რომელმაც განაცხადა: საბრალმდებლო ოქმის საფუძველი ვიღაც ი. მელაძის ჩვენებაა, რომელიც წინად ბრალდებული იყო და შემდეგ კი მოწმედ გადაიქცაო. საქმიდან არა სჩანს რომ ამ მოწმის წინააღმდეგ სისხლის სამართლით ბრალდება მოსპობილი იყოს. მაშასადამე მელაძის ჩვენება ბრალდებულის ხელის დადებაა. იმისი ნალაპარაკევი კი არ მტკიცდება საბუთებით. ეს ხელის დადება კი იძულებითია, რადგან ბოქაულმა მელაძეს სცემა ძალად ათქმევინა, და დაჰპირდა გაგანთავისუფლებო. მართლაც აუსრულა პირობა—შინაარსით მისი ჩვენება მითოლოგიურია და არა ბუნებრივი. ამიტომ დამცველი თხოულობდა ბრალდებულის გამართლებას. პალატამ დაადგინა საქმე ხელმეორედ განიხილოს, გამოიწვიოს ჩვენების ჩამოსართმევად ბოქაული, პოლიციის საქმის მწარმოებელი ჟღენტი, და სხვანი. აგრეთვე შეამოწმოს ზნეობრივი სახე ბრალდებულისა, მონაწილეობას იღებდა სარევოლიუციო მოძრაობაში თუ არა.

პოლიტიკური საქმეები.

ტფ. სამოსამართლო პალატის საგანგებო საკრებულომ წოდებათა წარმომადგენლების თანადასწრებით 18 ქრისტიშობისთვეს განიხილა პოლიტიკური საქმე სოფიო სიმონის ასულის სამსონიასი, რომელსაც წიგნაკის „ისტორიული მატერიალიზმის“ გამოცემისათვის ბრალსა სდებდნენ სისხ. სამ. 129 მ. 1 ნაწ. ძალით. ბრალდებულს იცავდა ნაფ. ვექ. თან. კაჩუხოვი. ბრალმდებელის თანხმობით საქმე ხალხს დასწრებით ირჩეოდა. ქ. სამსონიამ თავი დამნაშავედ არა სცნო და განაცხადა, წიგნაკის გამომცემელი მე არა ვარ და არც ვიცი ვინ გამოსცა წიგნიო. ბრალმდებელი საჭიროდ სცნობს ექსპერტებმა შეამოწმონ ხელნაწერი, ვინ ჩასწერა სტამბის წიგნში შეკვეთა, ამიტომ შუამდგომლობს საქმის განხილვის გადადებას.

ნაფ. ვექ. კაჩუხოვი სთხოვს საქმე დღესვე განიხილონ და ეხლავე გამოიწვიონ ექსპერტები. პალატამ საქმის განხილვა გადასდო მხოლოდ დამცველის თხოვნით. ბრალდებული ქ-ნი სამსონია თავდებობით განთავისუფლა საპყრობილიდან.

გორის ქართველ ქალთა წრის კრება.

კვირას, 9 დეკემბერს, საზოგადო საკრებულოს დარბაზში ადგილობრივ, ქართველ ქალთა წრის „მანდილოსანი“ს გამგეობამ მოიწვია წევრთა საზოგადო კრება წრის წესდების შესამუშავებლად. ამოსარჩევი იყო აგრეთვე ხაზინადარი და სარ. კომისია. კრება გაიხსნა პირველ საათზე კნ. ა. ამილახვრის თავმჯდომარეობით. ვიდრე წესდების განხილვას შეუდგებოდნენ, **ანასტასია ერისთავ-ხოშტარიასამ** კრებას მშვენიერი, მგრძნობიარე სიტყვით მიჰმართა.

ქ. ანასტასია ერისთ.-ხოშტარიას სიტყვას კრება ტაშის ცემით შეეგება.

ს. ციციშვილისა. (მაზრიდან) სულითა და გულით ვეგებებით ჩვენც თქვენს საქმეს, გისურვებთ აგცდენოდეთ შური, მტრობა. მიიღეთ ჩვენგანაც ერთგული თანაგრძნობა...

იხილავენ წრის წესდებას. როგორც წესდებიდან სჩანს წრეს მიზნადა აქვს დაეხმაროს ქონებრივ-ზნეობრივად გაჭირვებულ ქართველ ქალებს. წრე ხსნის სამკითხველოებს, სკოლებს, ხელს უწყობს საპროფესიო განათლების გავრცელებას, მეურნეობას, ჰმართავს სახ. კითხვებს და სხვ. და სხვ. სამოქმედო რაიონ-გორის მაზრაში. წრე სამგვარ წევრებისაგან შესდგება: საპატიო, დამფუძნებელნი, ნამდვილნი. პირველნი ერთდროულად იხდიან 50 მან. მეორენი 10 მ. მესამენი წლიურად 1 მან. და სხვ. წევრები მიიღებიან ფარული კენჭის ყრით.

ელ. თარხან-მოურავი. მიზანი წრისა ვიწროა. მარტო ქართველ ქალების დახმარება არ კმარა. განა არ შეიძლება გაჭირვებული სხვა ეროვნების იყვეს და ნუ თუ ხელი უნდა ჰკრათ?...

ან. ერისთავ-ხოშტარიასი. ეს წრე გახლავთ **ქართველ ქალთა** წრე. კაცთმოყვარეობა ჩვენ გვწამს. უპირატესობას მივცემთ ქართველ ქალს. სხვა ეროვნებისასაც დავეხმარებით, მხოლოდ **კერძოდ,** წესდებაში კი ამას ვერ შევიტანთ...

დიდი უმრავლესობა ადასტურებს ამ აზრს. წესდებას მუხლობრივ იხილავენ, კამათობენ, მსჯელობენ, თვითეულ მუხლს ჰმარტავენ მდაბიოდ, რამდენიმეჯერ.

კამათია იმის შესახებ, რომ წლიურ საზოგადო კრების დროს შეუძლიან თუ არა წევრს თავის რწმუნებულება სხვას გადასცეს. თუ რაიმე საპატიო მიზეზისა გამო თვითონ კრებაზე ვერ დაესწრება.

ნინო ნიკ. ლომაური ამტკიცებს, რომ რწმუნებულების გადაცემით შეიძლება ბოროტმოქმედებამ იჩინოს თავი. ვისაც ნამდვილად გული შესტკივა, თვითონ გამოცხადდება კრებაზე.

კრებამ ერთხმად უარჰყო ქ. ლომაურის წინადადება და დაადგინა: ყოველ წევრს, ვინც საპატიო მიზეზისა გამო კრებაზე ვერ გამოცხადდება, შეუძლიან თვის, რწმუნებულება გადასცეს სხვას, სანდო პირს.

ასარჩევია ხაზინადარი. ან ერისთ. ხოშტარიასი განმარტავს ხაზინადარის მნიშვნელობას და დასძენს-აირჩიეთ ადამიანი ფაქიზი, პატიოსანი, ამასთან შეძლებულიო. იმართება კამათი. ორატორები: ე. თარხან-მოურავი, ქ. ზარაფიშვილი, და სხვ. ამტკიცებენ, რომ ადამიანი შეიძლება არ იყვეს შეძლებული, მაგრამ პატიოსანი. ხაზინადარისთვის არ არის საჭირო დიდი შეძლება, რადგან მის ხელში ათ თუმანზე მეტი არ იქნებაო.

კანდიდატებად ასახელებენ კნ. ამილახვრისას, მ. ელიოზიშვილისას, თ. ჯავახიშვილისას და სხვ. მაგრამ ყველანი უარს აცხადებენ.

თ. ჯავახიშვილისა. ხაზინადრად მასახელებთ, გმადლობთ. ვიქნები ხაზინადარი, მაგრამ მე დავთარი გვერდში უნდა მედოს და წერა რომ არ ვიცი!!.. (საერთო სიცილი).

ხაზინადრად ირჩევენ ქ. ნ. კიკნაძისას. სარევიზიო კომისიაში ამორჩეულ იქმნენ: ო. გოგლიჩიძისა, მ. ელიოზიშვილისა და ე. თარხან-მოურავი. კანდიდატად: ბ. ამილახვრისა. კრებაზე ბევრნი ჩაეწერნენ წევრებად და საწევრო გადასახადიც ერთი მან. შეიტანეს. კრებას დაესწრნენ პრესის წარმომადგენელნი და რამდენიმე გარეშე პირი. წესდება დასამტკიცებლად გუბერნატორს წარედგინება და მეორე კრება წესდ. დამტკიცების შემდეგ იქნება მოწვეული.

სანგანიძე.

გურჯაანის საკრედიტო ამხანაგობის საგანგებო კრება

კვირას, 9 დეკემბერს, გურჯაანის სამკითხველოს დარბაზში მოჰხდა საკრედიტო ამხანაგობის საგანგებო კრება. თუმცა ეს მესამედ იყო დანიშნული კრება, მაგრამ ასეთ კრებებზე მიუჩვეველი გლეხობა დღესაც უხალისოდ იკრიბება. 405 წევრიდან კრებაზე გამოცხადდა 213 წევრი. განსახილველი იყო: ა) არსებულ საკრედიტო ამხანაგობის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობად გადაკეთება და ბ) საწევრო ფულის რაოდენობის განსაზღვრა. კრება დილის 11 საათზე გაიხსნა, თავმჯდომარეობდა ექიმი დ. ჯავახიშვილი.

მღვდ. გ. წიბალაშვილი. კითხულობს მოხსენებას არსებულ ამხანაგობის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობად გადაკეთების შესახებ და უხსნის ხალხს ამ უკანასკნელის მნიშვნელობას. დასასრულ ორატორი თავის სიტყვას ასე ათავებს: მე პირადად საკრედიტო ამხანაგობის შემნახველ - გამსესხებელ ამხანაგობად გადაკეთება ნაადრევად მიმაჩნია, მაგრამ რადგანაც ბანკი მეტ ფულს აღარ გვიმატებს, იძულებული ვხდებით წვრილ კრედიტის ინსპექტორის წინადადებას დავეთანხმოთ.

ი. ჯოხაძე. (გლეხი). ვისაც ფულის გატანა სურს და შემოტანა კი ეზარება, არა გვსურს ამხანაგად (საერთო ხმაურობაა).

თავმჯდომარე. განმარტებას აძლევს მღვდ. წიბალაშვილის მოხსენებას და წინადადებას იძლევა, ვისაცა ჰსურს, გამოსთქვას თავისი მოსაზრება.

ალ. ზვერიაშვილი (გლ.) ბატონი მიხა პაპუნაშვილის სიტყვები ასე გავიგე: მე თავი არა მაქვს და საწევრო ფულის შემოტანა არ შემიძლიანო; ამისთვის წინადადებას ვიძლევი: რადგანაც არა სურს, კრებიდან გავიდეს. მსურველებმა კი ეხლავე მოვაწეროთ ხელი. (ხმები: არა, არ შეიძლება წასვლა).

თავმჯდომარე. განმარტავს, თუ როგორ შეიძლება საწევრო ფულის გადახდა.

გ. მანჯაშვილი. (გლ.) ვალის გატანის დროს გამოგვერიცხოს თუმანზე ათი შაური საწევრო ფულის შესავსებად.

ალ. პეტრუზაშვილი (გლ.) ზოგს ასე ჰგონია, რომ საწევრო ფულს დღესვე ახდევინებთ.

ივ. ჯოხაძე. ხალხი კიდევ იმას მოგახსენებთ, შესანახი ფული რომ გვქონდეს, ბანკის ვალს აღარ ავიღებთო.

ტ. ხაჩიძე. უნდა მოგახსენოთ, რომ სამწუხარო მოვლენაა ჩვენში, როდესაც ხალხს რაიმე საგანს მდაბიო ენით უხსნიან, მაგრამ მათ მაინც არ ესმით. ამასვე ვხედავთ ამ კრებაზედაც. ვინმემ რომ ამხანაგობის საწინააღმდეგო რამე ჭორი სთქვას, იმას მალე გაიგებს ყველა და მოედება მთელს სოფელს. როდესაც მათთვის სასარგებლო საქმეზე ელაპარაკებიან, მისი გაგება კი არა ჰსურთ. მანჯაშვილს უხსნის, რომ წელიწადში მანეთზე ნაკლების შემოტანა არ შეიძლება საწევრო ფულში. სასურველიც არის და სასარგებლოც, რომ საწევრო ფული მალე შემოიტანონ, შეძლებისადაგვარად, თორემ ყველამ, რომ წელიწადში მანეთის მეტი არ შემოიტანოს ამხანაგობა ბევრს ვერას ისარგებლებს, და უკეთესია ისევ საკრედიტო ამხანაგობად დავსტოვოთ. მე დარწმუნებული ვარ, ვისაც აინტერესებს ამხანაგობის მომავალი გაუმჯობესების საკითხი იმათ ყველაფერი გაიგეს და ვისაც არა—იმათ სადამომდისაც რომ ველაპარაკოთ, მაინც ვერას გაიგებენ. აქ ძალადობა არ არის,—გამგეობამ იმისათვის მოიწვია საერთო კრება, რომ მან უნდა გადასწყვიტოს აღძრული საკითხი, რადგანაც საერთო კრებაა ამხანაგობის ბატონ-პატრონი. წინადადება შემომაქვს, კენჭი უყაროთ საკითხს, სასურველად სცნობს თუ არა საერთო კრება არსებულ ამხანაგობის შემნახველ გამსესხებელ ამხანაგობად გადაკეთებას.

თავმჯდომარე. კიდევ აქვთ რაღაც სათქმელი და მერე, რასაკვირველია, კენჭს ვუყრი. (ხმა ისმის: „მე კი არ შემიძლიან, ვისაც უნდა ხელი მოაწეროს, რაღაზე მაცდენთ“. ხმაურობა ძლიერდება).

თავმჯდომარე წინადადებას იძლევა ვინც წინააღმდეგია წინ წამოდგეს.

ბიბილაშვილი (ხალხს გაარღვევს და წინ წამოდგება) კიდევაც გენდობით, პატივსაცემიც ბძანდებით ყველა, მაგრამ საწევრო ფულის შემოსატანი წელი კი არა მაქვს (სიცილი); ოცი მანეთი მაქვს გატანილი კასიდან და სიზმარშიც კი ის მელანდება. არა, მე არ შემიძლიან. (ძლიერი ხმაურობაა).

თავმჯდომარე. ყოჩაღ ბიბილაშვილო, რომ გულ ახდილად ლაპარაკობ შენს გაჭირვებას. ვადა როდისა გაქვთ ვალის გასტუმრებისა?

ბიბილაშვილი. იანვარში, ბატონო, მაგრამ იმ, საწევროა თუ რაღაცა, თუმნის შემოტანა კი არ შემიძლიან. (ბიბილაშვილს აქეთ იქიდან გამოეკამათებიან, ძლიერი ხმაურობა ასტყდება, თავმჯდომარე ხალხს აწყნარებს, ხმები: „ჩუმად, ხალხო!)“.

თავმჯდომარე. (მიმართავს ისევ ბიბილაშვილს) როდისა გთხოვეთ საწევრო ფულის ახლავე შემოტანა? იმ სესხის გასტუმრება შეგიძლიანთ?

ბიბილაშვილი. თვალებს კი არ დავითხრი. სანამ იმ ვალს შემოვიტან, მე კი ბოლომა გამათავებს და! (საერთო ხმაურობაა და სიცილი).

თავმჯდომარე უხსნის ბიბილაშვილს, როგორ შეუძლიან წევრადაც დარჩეს და საწევრო ფულიც შეღავათიანად გადაიხადოს, რომ მოვახშეებს არ ჩაუვარდეს კლანჭებში. (ხმები ისმის: ეგ თუმანს რვა მანეთად ასესხებს).

ს. ზვერიაშვილი. (აღელვებით მიმართავს თავმჯდომარეს და გამგეობას): თავმჯდომარე, მოძღვარო, სადიდებლებო და მომხმარებლებო ქვეყნისა! მე თანახმა ვარ, ქაღალდი მიბოძეთ, ახლავე ხელი მოვაწერო. სადაც თქვენ, იქ მე. ვისაც სურს და შეუძლიან, თუმანი შემოიტანოს, ვისაც არადა აქედან გავიდეს.

ტ. ხაჩიძე. ბ-ნებო! სოლია ზვერიაშვილმა ბრძანა, გამგეობა, რომ ცეცხლში ჩადგეს, მეც მზადა ვარ, თან შევყვეო. სწორედ, რომ სასიამოვნოა, თუ მისი ასეთი ნდობა დავიმსახურეთ. ბევრმა შეიძლება სხვამაც გვითხრას, მაგრამ ზოგიერთები ხალხში ავრცელებენ, გამგეობამ და საბჭომ ფული შეჭამა და ახლა თითო თუმანს ჩვენ გვახდევინებენ შეჭმულ ფულის შესავსებადაო. ბევრს თქვენგანს, დარწმუნებული ვარ, ვერ წარმოუდგენია, რომ ვინმე საზოგადო საქმეში შევიდეს და იმან თავის ჯიბე არ ამოივსოს. ამას სოფლის ნაძირალები არიან ჩვეულნი და არა ისეთი ხალხი, რომელიც ისეთ სიმპატიურ დაწესებულებას ემსახურებიან, როგორიცაა დღეს თქვენთვის ფრიად სასარგებლო საკრედიტო ამხანაგობა. რომ ამ ამხანაგობამ თქვენ სარგებლობა მოგიტანათ, ვგონებ დამემოწმებით ყველა? (ხმები: „ამაზე უკეთესს ჩვენ აქ ვერას ვღირსებით და დიდი მადლობელიცა ვართ“.) წვრილი კრედიტის ამხანაგობების მიზანია, დაეხმაროს გაჭირვებულ ხალხს, ფეხზე წამოაყენოს იგი და მისი მეურნეობა, ცხოვრების პირობები გააუმჯობესოს; მაშასადამე ჩვენ ყველანი ზნეობრივად ვალდებულნი ვართ საწყლებს ხელი გაუწოდოთ და არა ამხანაგობიდან გამოვრიცხოთ. (ხმები: „ყველას გვინდა, ხელი მოგვაწერინეთ“). მე მგონია, რომ საკითხი უკვე გამოირკვა და ყველამ გაიგო მომავალი ამხანაგობის მნიშვნელობა, ამისათვის მეორედ შემომაქვს წინადადება, კენჭის ყრით გადასწყდეს ეს საკითხი საბოლოოდ, თავმჯდომარე უკანასკნელად მოგახსენებთ, რომ არსებულ ამხანაგობის სათავეში მდგომნი პირნი თქვენ სასარგებლოდ მუშაობენ და სწორედ მათ უნდა ენდოთ მომავალ შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის წარმოებაში. ამისათვის, ცოტა ყურადღება იყოს, საკითხს კენჭი უნდა ვუყარო. (ყველა ერთხმად იმეორებს: „ყველასა გვსურს, გენდობით მოგვაწერინეთ ხელი“).

ამრიგად საერთო კრებამ ერთხმად დაადგინა: 1) აღიძრას შუამდგომლობა ტფილისის საგუბერნიო წვრილ კრედიტის საქმეთა კომიტეტის წინაშე, არსებულ საკრედიტო ამხანაგობის შემნახველ გამსესხებელ ამხანაგობად გადაკეთების შესახებ და 2) საწევრო ფული დაწესდეს ერთი თუმანი.

მღვდ. წიბალაშვილმა კრებას მოახსენა რომ გამგეობას ჰსურს მომავალი წლიდან საშუამავლო ოპერაციების შემოღება. საერთო კრება ამ განზრახვასაც დიდის თანაგრძნობით შეჰხვდა. კრება ნაშუადღევის $1^1/_2$ საათზე დაიხურა.

ხ—ლი.

საკანონმდებლო დაწესებულებებში

დეპუტატები მეფესთან.

დეპუტატების უმრავლესობა ფრაკებით გამოწყობილი მივიდა საზამთრო სასახლეში, გლეხებს ნაციონალური ტანისამოსი ეცვათ. იგინი ან-ბანზე ჩაამწკრივა გუბერნიებად სახელმწ. სათათბიროს ბოქაულმა ბარონმა ფერზენმა. ღენ. ხვოსტოვს გულზე რუსთა კავშირის ნიშანი ჰქონდა.

საპასუხო ადრესი.

დეპუტატებს დაურიგდათ უქვეშევრდომილესი ადრესის პროექტი, რომელიც საადრესო კომისიამ შეიმუშავა. მოხსენებაში ნათქვამია, რომ ადრესს საფუძვლად ოქტომბრისტების პროექტი დაედვა, რომელშიც შეტანილ იქმნა ზოგიერთი შესწორებანი; მაგრამ როდესაც პროექტის ტექსტს მთლიანად უყარეს კენჭი, იგი შესწორებებითურთ [illegible] ამიტომაც იყო, რომ საადრესო კომისიამ სრულიად ვერ მოახერხა რომელიმე პროექტის შეტანა სათათბიროში განსახილველად და ადრესის მირთმევაც აღარ მოხდა.

პროგრესისტებში

პეტერბურგის დეპუტატების თაოსნობით 12 დეკემბერს მოხდა პროგრესისტთა ფრაქციის სხდომა, რომელზედაც დაადგინეს, შეკითხვა მისცენ მთავრობას საშუალო სასწავლებლებში მომხდარ ამბების გამო.

მღვდელ-დეპუტატების თათბირი.

11 ქრისტიშობისთვეს მოხდა მღვდელ-დეპუტატების თათბირი, რომელსაც დაესწრნენ ეპ. ანატოლი და ნიკონი. თათბირზე ლაპარაკი იყო სამღვდელოების ნივთიერად უზრუნველსაყოფად. ხანგრძლივ კამათის შემდეგ დაადგინეეს: არჩეულ იქნას 9 კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელიც ეცდება მალე განახორციელოს სოფლისა და ქალაქის სამღვდელოების უზრუნველყოფის საკითხი.

ბალკანეთის ომი

დეპეშები.

17 ქრისტიშობისთვე.

სამშვიდობო კონფერენცია.

ლონდონი. „სესჩენჯ—კომპანის“ ცნობით, სამშვიდობო კონფერენციის დღევანდელ სხდომაზე ოსმალება სურვილი გამოსთქვეს დააკმაყოფილონ მოკავშირე სახელმწიფოთა მოთხოვნილება მაკედონიის საკითხში. ადრიანოპოლის საკითხის განხილვა გადაიდო.

სოფია. პოლიტიკოსთა წრეში ოსმალეთის წინადადებებს გაკვირვებით არ შეჰხვდნენ. იმედი აქვთ, ოსმალები დათმობის გზას დაადგებიან, თუ მოკავშირე სახელმწიფონი გადაჭრით წარუდგენენ მოთხოვნილებასო. ბულგარეთი მზად არის ომი განაახლოს, თუ ოსმალეთი სიკერპის გამო ვერ მოურიგდება.

ბულგარელი სომხები.

სოფია. ბულგარეთში მოსახლე სომხებმა სოფიაში გაგზავნეს ფერდინანდ მეფესთან დეპუტაცია, რათა სომხებს მფარველობა გაუწიოს და იხსნას განსაცდელისაგან.

ლონდონი. სამშვიდობო კონფერენციის სხდომაზე ოსმალეთის დელეგატებმა განაცხადეს, ჯერ არ მიგვიღია სრული ინსტრუქცია წინადადების შემოსატანადო. სხდომა ოთხშაბათისთვის გადაიდო. რეიტერის ცნობით, ოსმალეთის დელეგატებს უთხოვნიათ ცალკე საკითხები განეხილა კონფერენციას, მაგრამ ბალკანეთის დელეგატებმა უარი უთხრეს: ჯერ უმთავრესი საკითხი, და მერე წვრილმანიო.

გაზეთებიდან.

ქ. იანინთან

ათინა. არტილერიის ბრძოლა განუწყვეტლად სწარმოებს. მეორე დივიზიამ, რომელიც ძალა-უნებურად ჩაითრიეს ბრძოლაში, სასტიკი იერიში მიიტანა ოსმალთა მარცხენა ფრთაზე და აიძულა იგი უკან დაეხია. ბრძოლის ველზე დარჩა 700 მდე მკვდარი და დაჭრილი ოსმალო.

ჯავიდ-ფაშის მოკვლა.

სტამბოლი. იანინის უკანასკნელ ბრძოლაში მოჰკლეს 29 დივიზიის უფროსი ჯავიდ-ფაშა და 32 სხვა აფიცერი.

სამშვიდობო მოლაპარაკება.

პეტერბურგი. იმ რჩევამ, რომელიც დიდმა სახელმწიფოებმა მისცეს ოსმალეთს სამშვიდობო მოლაპარაკების დასაჩქარებლად და დათმობის გზაზე დასადგომად, არავითარი გავლენა არ მოახდინა ოსმალეთის მთავრობაზე. ოსმალეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნორადუნგიანმა მადლობა გადაუხადა ელჩებს კეთილი რჩევისთვის და განუცხადა, რომ იგი ვერ დაეთანხმება მათ აზრს, რადგან ოსმალეთის საქმე არც ისე ცუდად არის, რომ ერთბაშად ხელი აიღოს ევროპის მთელ სამფლობელოზე. მიუხედავად მოკავშირეთა დიდი ცდისა, ადრიანოპოლი, სკუტარი და იანინი ჯერ არ დამხობილა, ჩატალჯასთან კი ოსმალეთს დიდძალი საუკეთესო ჯარი ჰყავს. რადგან მოკავშირეებმა ომი რეფორმების შემოღების გულისთვის დაიწყეს და ევროპამაც აღიარა სტატუს-ქვოს დაურღვევლობა, ამიტომ ოსმალეთი, თუ ძაიცა და მაინც საჭირო იქნება, დასთანხმდება მოკავშირეთა საზღვრების მცირეოდენ გასწორებას და მაკედონია-ალბანეთის ფართო ავტონომიასო. ერთი სიტყვით, გამოირკვა, რომ ოსმალთა წარმომადგენლები ისეთ კონტრ-პირობებს წარუდგენენ მოკავშირეთა რწმუნებულებს, რომელთა მიღებაც შეუძლებელი იქნება; ამიტომ ევროპის სახელმწიფოები ამ საკითხში ძალას დაატანენ ოსმალეთს, რათა იგი დათმობის გზას დაადგეს. ოსმალებს იმიტომ უკავიათ შეურიგებელი პოზიცია, რომ ეშინიათ სამხედრო პარტიისა, ახალგაზდა ოსმალთა რევოლუციისა.

რუსეთის დახმარება.

ლონდონი. მოკავშირენი შემდეგ საკითხებში სთხოვენ რუსეთს დახმარებას: 1) რუსეთმა ძალა უნდა დაატანოს ოსმალეთს, რათა მან დასთმოს ადრიანოპოლი; 2) თუ ჯერ კიდევ ელჩთა კონფერენციას არ გადაუწყვეტია ალბანეთის საზღვრების საკითხი, საჭიროა, რომ რუსეთმა მხარი დაუჭიროს მოკავშირეების პროექტს, რომლითაც ალბანეთის საზღვარი მდ. დრინის დასავლეთით უნდა იწყებოდეს, მთაგრეხილის გასწვრივ. თუ ამ აზრს მიიღებს კონფერენცია, მაშინ ადვილად გადაწყდება სხვა საკითხებიც.

დაგვიანებული რჩევა.

პარიზი. გაზ. „მატენ“ ურჩევს ბულგარეთს, თუ გსურს სამთა შეთანხმების სახელმწიფოთა გულის მოგება, ხელი აიღე ადრიანოპოლის მოთხოვნილებაზე და ეგეის ზღვის ნავთსადგურით დაკმაყოფილდიო.

სკუტარის გარშემო.

ცეტინიე. 13 ქრისტიშობისთვეს ალყა შემორტყმულ სკუტარიდან გახშირებული თოფის სროლა ისმოდა. მიზეზი გამოურკვეველია. ჰფიქრობენ, რომ ალყა შემორტყმულ ოსმალთა ბანაკში განხეთქილება ჩამოვარდა.

ბულგარელებისა და რუმინელების შეტაკება.

ბუქარესტი. ხმებია, დობრუჯის საზღვრებზე რუმინიისა და ბულგარეთის დარაჯებს შეტაკება მოუხდათ, დაჭრილია 14 რუმინელი.

სამშვიდობო მოლაპარაკება.

სტამბოლი. ოსმალეთის მთავრობამ დიდ სახელმწიფოებს სთხოვა, გავლენა იქონიეთ მოკავშირეებზე, რათა შეამცირონ თვისი მოთხოვნილებანიო. ოსმალეთის დიპლომატე-

ბი აღიარებენ, რომ ოსმალეთის საზოგადოებასა და ჯარს ომი, ან ღირსეული მშვიდობიანობის ჩამოგდება ჰსურსო.

ალბანეთის ავტონომია.

სტამბოლი. ოსმალეთმა სახელმწიფოებს ამცნო, თანახმა ვიქნები ალბანეთის ავტონომიისა, თუ მის მმართველად ერთ-ერთი ოსმალო-პრინცი დაინიშნება, რომელსაც თანაშემწედ სახელმწიფონი მისცემენ მრჩეველსაო.

დაუჯერებელი ამბავი.

ვენა. ოფიციალური „კორესპონდ. ბიურო“ იუწყება, თითქოს ღენ. სავოვი სტამბოლს საიდუმლოდ მისულა დიდ ვეზირ ქიამილ-ფაშასთან მოსალაპარაკებლად. მოლაპარაკებას შედეგად მოჰყოლია სრული შეთანხმება ბულგარეთ-ოსმალეთის მომავალ საზღვრების თაობაზე.

ბალკანეთი და ევროპა

ბერლინი. ვოლფს დრეზდენიდან ტელეგრაფით ატყობინებენ: რუსეთის სამხედრო მინისტრმა სუხომლინოვმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე. მის მოგზაურობას მშვიდობიანობის მომასწავებლად სთვლიან.

ბერლინი. მეფემ სუხომლინოვი აუდენციის შემდეგ საუზმეზე მიიწვია. სუხომლინოვი იმპერატორის გვერდით იჯდა. იმპერატორი ებაასა სუხომლინოვს. საპოლიტიკო საკითხები არ აღუძრავთ. 18 ქრისტეშობისთვეს სამხრეთ საფრანგეთში მიდის, ავადმყოფ მეუღლის სანახავად.

კიდერლენ-ვეხტერის გარდაცვალება.

შტუტგარტი. დილით, გულის სიდამბლით გარდაიცვალა გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრი კიდერლენ-ვეხტერი.

ბერლინი. კიდერლენ-ვეხტერის დაკრძალვა მოხდება 20 ქრისტეშობისთვეს, გაზეთები გულ-მწუხარე ნეკროლოგებს ჰბეჭდავენ.

იტალია და სერბია.

დურაცო. დურაცოს სერბიელმა კომენდანტმა აუკრძალა იტალიის ხომალდს „კაპრერას“ ნება დაურთველად ნაპირთან რაიმე მიწერ-მოწერა იქონიოს. იტალიის ელჩმა ამის გამო პროტესტი განაცხადა და საქმის ვითარება იტალიის მთავრობას აცნობა.

გაზეთებიდან.

ელჩთა კონფერენციაზე.

ვენა. გაზ. „რეიხშპოსტი“ სწერს: ელჩთა კონფერენცია მოკლე ხანში შეუდგება ალბანეთის საზღვრების გამორკვევას. ავსტრიამ უკვე წარუდგინა კონფერენციას თვისი პროექტი ამ საკითხის შესახებ. რუსეთის ელჩმა განაცხადა, რომ იგი ვერ დასთანხმდება ავსტრიის პროექტს, რადგან იგი მეტად აფართოებს ალბანეთის საზღვრებს, რაც სრულიად არ შეეფერება ამ ქვეყნის ეტნოგრაფიულ მდგომარეობასო.

რუსეთის პროექტი.

პეტერბურგი. რუსეთის პროექტს, რომლის თვალსაზრისითაც უსკიუბი და პრიზრენი სერბიას უნდა მიეკუთვნოს, ალბად სხვა სახელმწიფოებიც მიიღებენ. ამ ჟამად დიდ სახელმწიფოთა შორის მოლაპარაკება სწარმოებს იმის თაობაზე, თუ რომელი ნავთსადგური დაეთმოს სერბიას ადრიატიკის ზღვაზე. სამთა შეთანხმების სახელმწიფოები (ინგლისი, საფრანგეთი, რუსეთი) პრინციპიალურად დურაცოს დათმობის მომხრე არიან, თუმცა შესაძლებელია რომელიმე სხვაც აირჩიონ. ნავთსადგურთან დაკავშირებულია მისი შემაერთებელი რკინის გზის საკითხიც. ამ გზის მიმართულება ისეთი ანგარიშით იქნება არჩეული, რომ ლიანდაგის გაყვანა, რაც შეიძლება, იაფად დაჯდეს.

სამხრეთის რეფორმები.

სტამბოლი. რადგან ოსმალეთს ეშინია, ელჩთა კონფერენციაზე არ აღიძრას სომხების საკითხიო, ამიტომ საგარეო საქმეთა მინისტრმა ლონდონის ელჩს შეუთვალა: დაარწმუნე ინგლისის მთავრობა, რომ ოსმალეთმა მტკიცედ გადასწყვიტა სომხეთში რეფორმების შემოღება, რისთვისაც მოკლე ხანში დანიშნავს ქურთებისა და სომხების წარმომადგენელთაგან შემდგარს შერეულ კომისიას; სთხოვე ინგლისის მთავრობას, რათა თვისი წარმომადგენელიც დანიშნოს ამ კომისიაშიო.

ევროპის კონგრესი.

ლონდონი. ხმებია, ინგლისმა ევროპის დიდ სახელმწიფოებთან მოლაპარაკება გამართა კონგრესის მოწვევას შესახებ, რომელიც გადასწყვეტს ომის შედეგისაგან გამოწვეულ სხვა და სხვა საკითხს. ამ კონგრესზე ინგლისი აღძრავს საკითხს ბაღდადის რკინის გზისა, სპარსეთის ყურისა და სალონიკის შესახებ.

ლიბანის ავტონომია.

სტამბოლი. ხმებია, რომ ლიბანში ავტონომიის შემოღების ოქმს უკვე მოაწერეს ხელი ინგლისისა, საფრანგეთისა, იტალიისა და რუსეთის ელჩებმა, ხოლო ოსმალეთის მთავრობის მხრით საგარეო საქმეთა მინისტრმა ნორადუნგიან-ეფენდიმა.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

საზღვარ-გარედ

17 ქრისტეშობისთვე

პეკინი. ჩინეთის მთავრობამ საფრანგეთის ლეიტენანტ ბონთან ხელ-შეკრულება დასდო, ჩინეთს მოაწოდოს ბლერიოს სისტემის ჰაეროპლანები და ერთი წლის განმავლობაში მოამზადოს ჩინელი მფრინავნი.

ტოკიო. სპილენძის მადანზე ათასამდე მუშა გაიფიცა. მოითხოვენ ჯამაგირის მომატებას. მადნებზე გაიგზავნა დიდ-ძალი პოლიცია.

ტოკიო. დაარსდა სახელმწიფო დაცვის საზოგადოება, რომელსაც მიზნად აქვს ამ საქმეში შეაერთოს მთავრობა და ხალხი. საზოგადოების აზრით იაპონიისთვის იმდენად ხმელეთის ჯარის გაძლიერება არ არის საჭირო, რამდენადაც ფლოტისა.

ტოკიო. „ხოტი-სიმბუხი“ იუწყება, რომ კორეის საზღვარზე გირინ—ხოპრიენის გზა უნდა აშენდეს, თანხმად ხელ-შეკრულებისა, იაპონიის და ჩინეთის თანხით. გზის ღირებულება 50 მილიონამდე აღწევს, ვადა ხუთი წელიწადია.

რუსეთი.

პეტერბურგი. გამოქვეყნებულია სინოდის დადგენილება 13—17 ქრისტიშობისთვისა: სინოდმა მოისმინა ვლადიმირის ეპისკოპოსის მოხსენება ილიოდორეს შესახებ. ვლადიმირის საეპარქიო გამგეობაში გამოძიებულ იქმნა ილიოდორეს საქმე და აღმოჩნდა, რომ ილიოდორემ ხელწერილობით პირობა დასდო არაფერი გამოექვეყნებინა პრესაში თავის კერძო ცხოვრებისა და მოქმედებისა, რაიც ბერს არ შეეფერება, შეენანებინა თვისი ურჩობა, ყველაფერში დაჰმორჩილებოდა სასულიერო მთავრობას და ეკლესიაში უკლებლივ ევლო, - ყველა ეს დაარღვია. გამოძიების დროს ილიოდორემ კომისიის წევრთ არ მოუსმინა, გამოძიებას არ დასწრებია, არც გასცნობია შედეგს გამოძიებისას, განაცხადა რა, რომ ყველაფერი იუსტიციის მინისტრს წარუდგინეო. საერო სამართლის ძებნით ილიოდორემ უგულებელ ჰყო სასულიერო სამართალი. სინოდსა და საეპარქიო მთავრობასთან რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას უმადლო უწოდა და მის წევრად ყოფნა არ ისურვა. სინოდი ადასტურებს, ილიოდორე ბერისთვის შეუფერებლად იქცეოდა და მართმადიდებელ ეკლესიისა და რწმენისა უარყოფით ეკლესიიდან განდევნა დაიმსახურა.

სინოდმა დაადგინა: დამტკიცდეს ვლადიმირის საეპარქიო მთავრობის დადგენილება, მიეწეროს სისრულეში მოყვანა ამ დადგენილებისა კანონიერის გზით და დაარწმუნონ რომ ილიოდორე მართლმადიდებელი ეკლესია არ დასტოვოს.

პეტერბურგი. ოხტენის ასაფეთქებელ მასალათა ქარხანაში აფეთქება მოხდა. შენობა დაინგრა. 3—მოკვდა, 9 მძიმედ დაიჭრა, 42 მსუბუქად.

რუსეთის სახლის მეპატრონეთა პირველი კრება მოსკოვში დანიშნულ იქმნა 1812 წ. 5 აპრილს. საერთაშორისო კონგრესსი სულიერ-ავადმყოფთა მფარველობისა 1913 წლის ქრისტიშობისთვიდან შემოდგომაზე გადიტანეს.

ფოსტა-ტელეგრაფის უმთავრესი სამმართველო შუამდგომლობს დეპეშით ორკაპეიკად ღირდეს სიტყვა ყველა იმ ქალაქშ ორის, სადაც ბირჟაა.

რუსეთი

პეტერბურგის გიმნაზიაში მომხდარი ამბები და ლ. ა. კასო.

პეტერბურგის გიმნაზიებში მომხდარმა ამბებმა სახალხო განათლების მინისტრი კასო უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა. თითქმის ყველა უკმაყოფილოა კასოს პოლიტიკისა. საშუალო სასწავლებლებში მოწაფეთა წრეების გახშირებას იმას აწერენ, რომ კასომ თითქმის ფაქტიურად მოსპო მშობელთა კომიტეტები. მინისტრთა საბჭოს წრეში უკმაყოფილონი არიან კასოს პოლიტიკისა. კასო ან სამშაბათს, ან ოთხშაბათს წარადგენს მინისტრთა საბჭოში მოწაფეთა დაპატიმრების და გაჩხრეკის ცნობებს. მინისტრთა საბჭო იქონიებს მსჯელობას, თუ რა ზომები მიიღონ იმ გიმნაზიის მიმართ, საცა ჩხრეკა-დაპატიმრება მოხდა. როგორც ამბობენ, კოკოვცევი წინააღმდეგია რეპრესიულ ზომებისა როგორც მოწაფეთა, აგრეთვე მასწავლებელთა მიმართ. მით უმეტეს, რომ გაჩხრეკის დროს ისეთი არა აღმოუჩენიათ რა. თვით წესების არსებობაც, კოკოვცევის აზრით, დიდ დანაშაულობას არ წარმოადგენს, თუნდაც უკანასკნელი ნებადაურთველიც იყოს.

გიმნაზიებში ჩხრეკის გამო.

როგორც ამბობენ, კასო აპირებს დაითხოვოს ყველა ის მოწაფე, რომელნიც ვიტმარის გიმნაზიაში შეიპყრეს. განზრახვა აქვს აგრეთვე დაჰკეტოს ვიტმარის გიმნაზია. მაგრამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას ხელი შეუშალა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, რომელმაც წინადადება მისცა კასოს, არავითარი ზომები არ მიიღოს, მანამ საქმეს მინისტრთა საბჭო არ განიხილავს.

12 ქრისტიშობისთვეს ქალ. ო. ნ. ვიტმორმა სამოსწავლო ოლქის მზრუნველს წარუდგინა დამატებითი ბარათი, საცა ნათქვამია, რომ გიმნაზიას განაგებდა იგი 13 წლის განმავლობაში; წინად კერძო გიმნაზია სხვას ეკუთვნოდაო. გიმნაზიას 20 წლის ისტორია აქვს და მასში იზრდება 295 მოსწავლე ქალი. გიმნაზიას დიდი პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული პეტერბურგში. იმ გაჭირვებულ დროსაც კი, როგორიც იყო 1906 წლ. გიმნაზიაში წესიერი მიმდინარეობა სწავლისა არ შეწყვეტილაო.

კიევის დამცველ პოლიციის მოხელეთა სამართალში მიცემა.

12 ქრისტიშობისთვეს სახელმწიფო საბჭოს მეორე დეპარტამენტის სხდომა იყო. თავმჯდომარეობდა სახელ. საბჭოს წევრი საბუროვი. სხდომაზე მოისმინეს სენატორ შულგინის მოხსენება გენ.-ლეი. კურლოვისა, სპირიდოვიჩისა ვერიგინის და კულიაბკოს საქმის თაობაზე.

სხდომაზე მონაწილეობას იღებდნენ შინაგან საქმეთა მინისტრი ა. ა. მაკაროვი, იუსტიციის მინისტრი შჩეგლოვიტოვი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კოკოვცევი და სხვანი. სხდომის დაწყებისას სენატორმა შულგინმა წაიკითხა მოხსენება, რომელშიც სავსებით გაარკვია და დაასურათა სტოლიპინის მოკვლის ამბავი. შულგინმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია კიევის დამცველ პოლიციის უფროსს პოლკ. კულიაბკოს. დაწვრილებით არის განხილული ბაგროვის და კულიაბკოს ურთიერთობა, მეგობრობა, რის მეოხებითაც ბაგროვმა მოახერხა საქალაქო თეატრში შესვლა. სპირიდონოვიჩი, ვერიგინი და მინისტრის ნაამხანაგარი კურლოვი ნათლად არიან დახასიათებულნი მოხსენებაში. შულგინის მოხსენება სენატორ ტრუსევიჩის მოხსენებას ემსგავსება ზოგიერთ წვრილმანების გარდა. სახელმწიფო საბჭოს პირველ დეპარტამენტის წევრთა ნაწილმა მოითხოვა სამართალში მისცენ მხოლოდ პოლ. კულიაბკო. დიდი კამათის შემდეგ დეპარტამენტმა დაადგინა, უმოქმედობისათვის სამართალში მისცენ გენ.-ლეიტ. კურლოვი, სპირიდოვიჩი, ვერიგინი და კულიაბკო.

დეპარტამენტის დადგენილება განსახილველად უმაღლეს მთავრობას წარედგინა.

თეატრი და ხელოვნება

ქუთაისი. ხუთშაბათს, 13 ქრისტეშობისთვეს გ. არადელი-იმხნელის საბენეფისოდ წარმოადგინეს ჰაუპტმანის 5-მოქმედებიანი კომედია „შლუკ და იაუ“, თარგმანი ვ. მალაქიაშვილისა. პიესამ ვერავითარი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა საზოგადოებაზე მიუხედავად იმისა, რომ პატივცემული მობენეფისე „იაუ“, ბ-ნი იმედაშვილი (კარლოს) და არაბიძე (შლუკ) ბევრსა ცდილობდენ, რომ ეს უფერული კომედია გაეფეროვნებინათ. ეს პიესა კომედია კი არა, გრძელი, „ხუთმოქმედებიანი“ ვოდევილია (თუ კი შეიძლება ასეთი იქმნეს ვოდევილი) თუმცა უკეთესი იქნება, რომ ფარსი ვუწოდოთ. წარმოდგენას საზოგადოება სამწუხაროდ, ნაკლებად დაესწრო.

ისარა.

წერილი რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო, გთხოვთ ამ წერილს დაუთმოთ ადგილი თქვენ პატივცემულ გაზეთში.

1912 წ. თიბათვის პირველ რიცხვებში ს. მეჯვრისხევში გადახდილი იქმნა პანაშვიდი განსვენებული ი. გოგებაშვილის მოსახსენებლად და გაგზავნილი იქმნა სამგლოვიარო დეპეშა მეჯვრისხევის საზოგადოებისაგან.

ამასთანავე მეჯვრისხევის საზოგადოებამ შეაგროვა ფული და დაადგინა: იყიდონ იმ ფულით 20 ცალი დედა-ენა ნაწილი II იმავ სკოლის ღარიბ მოწაფეებში დასარიგებლად. - მისი თხუზულებები და სურათი უფასო სამკითხველოსთვის, დანარჩენი ფული კი გადაეცეს განსვენებულის ფონდის გასაძლიერებლად წ. კ. საზოგადოებას.

სულ შეგროვდა 32 მანეთი. აქედან ენკენისთვის პირველ რიცხვებში-უკვე დაურიგდა ღარიბ ბავშვებს 20 ცალი დედა-ენა, სამკითხველოს გადაეცა მისი თხუზულებები და სურათი. წიგნები, სურათი და დეპეშა დაჯდა სულ 11 მან. და 81 კაპ. დანარჩენი 20 მან. და 19 კ. გადაეცა წ. კ. საზოგადოებასა. კვიტანცია № 386. ამასთანავე ვარდგენ დეპეშის და წ. კ. საზოგადოების კვიტანციებს.

სია შემომწირველთა. ზურაბ ჩიპოიძე 2 მ., დავ. გ. ერისთავი 2 მ., ვ. ბათიაშვილი 2 მ., კონს. ლ. თულაშვილი 2 მ. მიხ. სამხარაძე 1 მ. დავით ქ. ქარუმიძე 2., ბეს. ლიაძე 2 მ., მართა ტატიშვილისა 2. მ., ა. დარასელია 1 მ., ვ. ხმალაძე 1 მ. მიხ. ლოლაძე 1. მ., ზურ. ჩუბინაშვილი 1 მანეთი, საძ. ლოლაძე 1 მ., მ. ერისთავი 1 მ., ვ. მიქელაძე 1 მ., ა. ჩუბინიშვილი 1 მ., ა. ხახუტაშვილი 1 მ., ს. გამრეკელი 1 მ., ან. ხახუტაშვილი 1 მ., მ. მღებრიშვილი 1 მ., ნ. ქარუმიძისა 1 მ., მ. ჩუბინიშვილი 50 კაპ., რ. ჩუბინიშვილი 50 კ., რ. ბიბილაშვილი 50 კ. გ. სარაული 50 კ., ნ. არსენაძე 50 კ. ე. ხახუტაშვილისა 50 კაპ., ს. თულაშვილისა 50 კ., ი. ილურიძე 50 მ. სულ 32 მან.

საზოგადოების დავალებით
ა. ა—შვილისა.

ბატონო რედაქტორო! გთხოვთ მოათავსოთ თქვენ პატივცემულ გაზეთში შემდეგი:

კვირას ჟურნალ „კლდის“ მე-14 ნომერში ამოვიკითხე ერთი ორი სიტყვა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების შესახებ. ეტყობა, ეს ლაპარაკი გამოუწვევია „Закавказская Рѣчь“-ის მე-281 და „თემის“ მე-101 ნომერში მოთავსებულ წერილს, რომლითაც აცნობებენ მკითხველებს, რომ თ. პ. ი. თუმანიშვილი იქმნა არჩეული საქართ. საისტ. და საეთნ. საზოგადოების უკანასკნელ ჩვეულებრივ კრებაზე მზრუნველ წევრად და დრო კი ამ არჩევნებისა არ არის ნახსენები, რის გამოც „კლდის“ თანამშრომელს უსარგებლნია და არა სასურველი დასკვნა გამოუყვანია. ვაუწყებ პატივცემულ საზოგადოებას, რომ საქართვ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ჩვეულებრივი კრება, რომელზედაც თ. პ. ი. თუმანიშვილი აირჩიეს „საზოგადოების“ მზრუნველ წევრად, მოხდა ენკენისთვის 20-ს (იხილ. ჩვეულ. კრების ოქმი № 63) და არაფერი კავშირი აქვს უკანასკნელ ხანებში ატეხილ ამბებთან.

კრების დამსწრე წევრი
ი. სხილულაშვილი.

ბ-ნო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის შემწეობით მადლობა გამოუცხადო ტფილისის საკათედრო ტაძრის მღვდელი ისააკ ჩეკურიშვილს, რომელმაც შემოსწირა ჩემდამო რწმუნებულ შაშიანის სამრევლო სკოლის ბიბლიოთეკას ოთხი წლის საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულის“ ნომრები და სხვა და სხვა საყმაწვილო წიგნაკები,—აგრეთვე შაშიანის მომავალ სამკითხველოსთვის რამდენიმე წლის ჟურნალები, „მოამბე“ „განათლება“, „შინაური საქმეები“ და სხვა და სხვა გამოცემანი.

შაშიანის სკოლის გამგე მღვდელი
ასათიანი.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

განცხადებანი

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.
დილით:
„606“—11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგაპაროვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
ქ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანოვი: 10—11 ს. საბებიო ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულიანი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი ე. ნ. ამბრუმოვა-მელ ქიანი 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.
საღამოთი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა თვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის
1078 დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

მუხრანის კერძო
სამკურნალო
საწოლი კრაოტებით.
19 თებერვლის ქუჩა, იგივე რიყე, № 48, ახალ მუხრ. ხიდის პირდაპირ, ტელეფ. № 370. დასაწოლად ავადმყოფნი მიიღებიან ყოველ დროს, ხოლო გასასინჯად ფეხზე მოსიარულე ავადმყოფნი მიიღებიან დანიშნულ დროზე შემდეგ ექიმების მიერ:

	ექიმების მიერ:	დილით:	
შინაგანი სნეულებანი, ბავშვთა და მოზრდილთ.	სპეკტიორი გ. მ. . . .	8½—9½	ს.
	გაზაზოვი ა. ა. . . .	10—11	ს.
	იაშვილი ა. ო. . . .	11—12	ს.
	აბაკელია ი. ქ. . . .	12—1	ს.
	ლოლობერიძე გ. მ. . . .	12½—1½	ს.
[illegible] ქალთა სნეულებანი:	გრიგორიანი ა. ი. . . .	11—12	ს.
	მელკონიანი გ. ა. . . .	12—1	ს.
	ჯაში ი. ი. . . .	9½—10½	ს.
საშარდ- [illegible] სნეულებ.	გრიგორიანი ა. ი.	11—12	ს.
სნეულებ. [illegible]	ექიმი-ქალი საყვარელიძე დ. ზ.	11—12	ს.
	ლოლობერიძე . . .	12½—1½	ს.
სნეულ. ყურ., ყელის და ცხვ.	შტრეიხერი მ. ა. . . .	12 12½	ს.
[illegible] სნეულებ.	შაპელნიკოვი გ. ი. . . .	1½—2½	ს.

ფასი გასინჯვისა 50 კ. საწოლი კრაოტი 3 მან. დღეში, ცალკე ოთახი 5 მან. ოპერაციები მორიგებით. შეშხაპუნება წამლებისა „606“ და „914“, ყვავილის აცრა, ელექტრონით წამლობა, ძიძის გასინჯვა, დაზელა (მასაჟი), მოწმობის შედგენა და სხვა, შეღავათიანი ფასურით. 1581

კავკასიის მეფუტკრეობის საზოგადოება
აცხადებს, რომ ქრისტეშობისთვის 20-დან 31-დე გაიხსნება
ორი ბაზარი თაფლისა.
1 მოთავსდება კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების დარბაზში.
2 ვერის დაღმართზე ანანოვის სახლში.
შესვლა უფასოა. 877.

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის
მაღაზია
ამზადებს ქართული წიგნების ახალს
კატალოგს.
ვისაც ჰსურს თავისი გამოცემა შეტანილ იქმნას ამ კატალოგში, ვთხოვთ გამოგზავნოს წიგნები საკომისიოდ. ცნობა მიიღება 1 იანვრამდე. 1141.

ახალი ჟურნალი
„განთიადი“
1913 წლის პირველ იანვრიდან
ქ. ქუთაისში გამოვა ქართული ყოველ-თვიური ჟურნალი
„განთიადი“
ჟურნალში იქნება შემდეგი განყოფილებანი: 1) ღვთის მეტყველება და ფილოსოფია: 2) არქეოლოგია და ისტორია (სამოქალაქო და საეკლესიო); 3) პოლიტიკა და ეკონომია; 4 მედიცინა და ჰიგიენა; 5) ბელეტრისტიკა და პოეზია; 6) სასოფლო მეურნეობა; 7) კრიტიკა და ბიბლიოგრაფია; 8) შინაური და უცხოეთის მიმოხილვა; 9) სახელმწ. საბჭოსა და სათათბიროს, და სხვა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა ანგარიშები; 10) მამათა ცხოვრება; 11) მოძღვრებანი და ქადაგებანი მთელი წინამდებარე თვის უქმი დღეებისა. ჟურნალი გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში და ეღირება წლიურად 5 მანეთი, ნახევარი წლით 3 მანეთი, ოთხი თვით 2 მანეთი და 10 შაური; ცალკე ნომერი ყველგან 10 შაური. „შინაურ საქმეებზე“ ხელის მომწერლებს ჟურნალი წლიურად 4 მანეთად დაეთმობათ, ამავე ფასში ეთმობათ ჟურნალი სახალხო სკოლების მასწავლებლებს და სახალხო უფასო სამკითხველოებს. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას თავის სკოლებისათვის ჟურნალი 3 მანეთად და 10 შაურად ეთმობა. ჟურნალის დაკვეთა შეიძლება დღეიდგანვე ქ. ქუთაისში ი. კვიცარიძის გაზეთების კანტორაში, მთავარიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიაში და რედაქტორთან. წლიური ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს სამი მანეთი და პირველ ივნისს 2 მანეთი.
რედაქციის ადრესი ქ. ქუთაისი რედაქცია „განთიადი“.
1615 რედაქტორ-გამომცემელი მღ. ს. მჭედლიძე.

მიიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი,
ქვირითის (კეტოვ.) ხიზილალა,
თევზის მრეწველნი
ძმ.
ძმეველოვები.
პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტელეფონი № 712.
1131
გამოსული ქერჩის
სელიოტკები,
და ყოველგვარი
კონსერვები.
მოგვდის მუდამ დღე საკუთარი სამრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ქიტკა), ორაგული, თართი, ტარაღანა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში
მოხარშული დოში, ზურგიელი,
და ყოველგვარი
შავი ხიზილალა

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, № 12 სტამბა „შრომა“.